


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბედგდით ბეჭდუბით სიფყვას, ფყუილებით და ჭბბბბით ბუბბბის გაფანა ყუულა უკადბბბბბბუ უსბბბბბბბ.

**დაარსებულია 1918 წელს.**

შაბათი, 1 ნოემბერი, 2014 წელი.

№223 (7604)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## პითომ აღარ მოგვისმენენ?!

ალეკოტი იმისთვის, რომ ხელისუფლებას ავნონ



პრემიერმა ირაკლი ლარიბაშვილმა ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას მოუწოდა, კიდევ ერთხელ კარგად დაფიქრებულიყვნენ და გონიერი გადწყვეტილება მიეღოთ. დეპუტატთა ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, „ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ კანონში ცვლილებები ნ წ მომხრის მხარდაჭერით შევიდა. თუმცა, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა კანონს ვეტო დაადო და უკან დააბრუნა.

ეს იმას ნიშნავს, რომ დღეიდან ძალაში შედის ნორმა, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს „ოტო“-ს სამსახურს უფლება ჩამოერთვა, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების ხაზებიდან, ასევე მასზე შეერთებული სხვა სერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან მოიპოვოს და გამოიყენოს ინფორმაცია. ვერც ტექნიკურ საშუალებებსა და

აპარატურას დაამონტაჟებენ და განათავსებენ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

ეს საკითხი იქამდე გამოეკიდება ჰაერში, ვიდრე პარლამენტი სხვა უფრო გონივრულ გადწყვეტილებას არ მიიღებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ თუკი პარლამენტარ შალვა შავგულიძეს დავუჯერებთ, პარლამენტი ამ საკითხზე ჩამოყალიბებული არც არის. „არ ვიცი, სად უნდა იყოს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის გასაღები – შსს-ში, დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოში, კომუნიკაციების კომპანიებში, თუ ენ. ორმაგი გასაღების სისტემა უნდა შემოვიღოთ?“ – აღნიშნა დეპუტატმა. მისი აზრით, ორგანოებიანი სისტემის იდეა საკმაოდ „სიმპათიურია“, მაგრამ მას ძალიან სერიოზული გაანალიზება სჭირდება.

06. 2 გვ.

**ნანა დავლარიანი**

**ფართოდ გაასილეთ თვალები, მოხედავთ!**

3

**არასამთავრობოები არასოდეს შეაქვან ხელისუფლებას. ვიდრე ნაციონალური იყავით!**

**სანამ ვჭრათ და ვკეროთ კონსტიტუცია?**

4

ჩვენ მაგივრად ვაუნიტობონი და ბრიუსელი ფიქრობან...

**პერიკო სენაზე და სენის პილა**

6

**მაგილის როგორც ფედერაციის კარზე სკანდალი აკაკუნებს**

10

**რატომ არ ჩამოდიხ სამოქალაქო საქართველოს „ლეგიტიმური პრემიერი“**

7

**ბესარიონ გუგუშვილი**

**კაკალ გულში**

ტყუილად უხარიათ „ნაცებს“ და არასამთავრობო ორგანიზაციებს! ირაკლი ალასანიას კორუფციაში მამინ არ გარეულა, როდესაც ვერავინ მოსთხოვდა პასუხს (90-იანი წლების ბოლოს) და უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე იყო. არც სახლები შეუქმნია, არც მანქანები და არც ფული უგროვებია, თუმცა, ისეთი მდგომარეობა შექმნა და ისეთ საქმეებზე მიუწვდებოდა ხელი, თავისუფლად შეძლებდა ამას!

ისე, ერთი კითხვა მაქვს იმათთან, ვინც ფიქრობს, რომ 5 ადამიანის დაკავების გამო მინისტრი უნდა გადადგეს. თქვენი ლოგიკით, თუ აღმაღლი ტრაექტორიით მივყვებით, თავდაცვის მინისტრის გადადგომის შემდეგ პრემიერ-მინისტრიც უნდა გადადგეს, ხოლო ივანიშვილი, რადგან თანამდებობაზე არ არის, უნდა დავიჭიროთ.

ჩემი ადვოკატობა არ სჭირდება ირაკლის, მაგრამ ერთს ვიტყვი, რომ მასავით პატიოსანი ადამიანი იშვიათია ამას, მეგობრობა არ მალაპარაკებს, რადგან უამრავი „მეგობარი“ მყავს ამ მთავრობაში, მაგრამ მათზე სიტყვაც არ დამეძვება. რაც შეეხება, ალასანიას, მას საქმით დაუმტკიცებია თავისი ვაჟკაცობაც, ერთგულუბაც და პატიოსნებაც. ამიტომ, 5 კი არა, 500 თანამშრომელი რომ დაიჭირონ თავდაცვის სამინისტროდან, დარწმუნებული ვარ, ალასანიას ამასთან, კავშირი არ ექნება.

არასამთავრობოებმა განაცხადეს, ჩვერთვებით გამოძიებაში და არამართო მონიტორინგის დონეზე. აბა, რას აპირებთ? დაკითხვისა და ჩხრეკის ჩატარების უფლებაც მოითხოვეთ ბარემ და რეიდები ჩატარეთ ქალაქში, არ გინდათ?

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ვიტოლდავული კანონი

პითონ ალარ მოგვისგენენ?!

ალიაჟოთი იმისთვის, რომ ხელისუფლებას აწვინ

(პირველი გვერდიდან)

როგორც ჩანს, ეს იდეა გააანალიზა პრემიერ-მინისტრმა და შე-საბამისი დასკვნაც გააკეთა, რომ-ცა მან ერთმნიშვნელოვნად აღნიშ-ნა: „საუბრალო იმაზე, რომ გასაღები იყოს, ერთი მხრივ, მობილური ოპერატორების ხელში, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს ხელში, არა-სამართლიანია. მე პირადად ჩართ-ვის ასეთ მექანიზმს ვენიანადმდე-გები. მობილური ოპერატორები სა-მივე შემთხვევაში არის უცხოური კომპანიების მფლობელობაში და არც ერთ ქვეყანაში, სადაც სახელ-მწიფოს ინტერესებს იცავენ, ამგვარ-ი ტიპის მოწყობა არ არსებობს. იმ შემთხვევაში შეიძლება მართლაც მობილური ოპერატორი ამ საკითხს, თუ იქ დატყდება უსაფრთხოების ნორმები. ჩვენ შემთხვევაში ასე არ არის, ხოლო სახელმწიფო თავისი ქვეყნის მოქალაქეების უსაფრ-თხოვასა და სახელმწიფო საიდუმ-ლოებას უცხოურ კომპანიებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ვერ ან-დობს“ - დასძინა მან.

ეს ერთგვარი „მესიჯი“ პარლა-მენტის მუშაობაში ჩარევად აღიქვას ოპონენტებმა და არა მხოლოდ მათ. დაიწყო უსაფრ-თხოვად მიიჩნია, რომ პრემიერ-მა თავის შეფასებაში „გადააჭარ-ბა“. „პრემიერ-მინისტრის განცხადება კონსენსუსის მოსაძებნად სა-უკეთესო ნიმუში არ იყო, მაგრამ მისი მესამე“, - ასეთი პოზიცია და-იჭირა პარლამენტის თავმჯდო-მარემ. მაგრამ ის კიდევ უფრო გა-ნაწყენდა თავის კოლეგებზე მა-შინ, როცა ნაციონალური მოძრა-ობის წარმომადგენლები კატეგო-რიული ტონით აპელირებდნენ იმაზე, რომ კანონის მიღებისთვის საჭირო რამდენიმეტიანი ვადა ქვეყანას დაანერგვდა: „ალბათ, მოსახლეობა, რომელიც გვისმენს, ახლა ფიქრობს, რა კანონს ვისილავთ ჩვენ: ვინ ვის უნდა მო-უხმინოს და რატომ? განცდა მი-წინდება, რომ ეს საკითხი ადრე უნ-

და დაგვესრულებინა. ჩვენ ახლა იმაზე უნდა ვსაუბრობდეთ, თუ როგორ უნდა წავიყვანოთ ქვეყ-ნა ევროპისკენ და არა იმაზე, რო-გორ უნდა გამოვიყვანოთ ქვეყანა უფრო სწრაფად ამ პატივცემული ბატონებისა და ქალბატონების მი-ერ შექმნილი მახინჯი სისტემისგან. სამწუხაროდ, ჩვენ ტემპი ისე არ გამოგვივიდა, როგორც საჭირო იყო. ეს უნდა ვიღიაროთ“.

საინტერესოა, რას ფიქრობს და-ვით უსაფრთხოების პრეზიდენტი მარგველაშვილის არჩევანთან და-კავშირებით, რომელიც ხშირად იწუნებს ხოლმე საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობის მიერ მოწონებულ კანონპროექტებს. „ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ „გასაღების“ წვდომას-თან დაკავშირებით პარლამენტი პირობას დებდა, რომ პირველი აპ-რილის ნაცვლად, დოკუმენტს თე-ბერვლის ბოლომდე მოამზადებ-და და დაამტკიცებდა, მაგრამ პრეზიდენტს ეს იდეა სულაც არ ეპიტნავა. მან მხარი იმ არასამთავ-რობო ორგანიზაციებს დაუჭირა, რომლებიც კატეგორიულად მო-ითხოვდნენ, ფარული მოსმენების უფლება შინაგან საქმეთა სამინის-ტროს არ დაარქონოდა და ე. წ. ორ-გასაღებიანი სისტემა ამოქმედე-ბულიყო. პრეზიდენტმა კანონპ-როექტს ნაჩქარევად დაალო ვეტო, თუმცა, მოსაფიქრებლად კიდევ რამდენიმე საათი რჩებოდა.

ამის საპირისპიროდ პრემიერ-მი-ნისტრი ასეთ განცხადებას აკე-თებდა: „ის ვარაუდები, რომელიც დამუშავდა პერსონალურ მონაცემ-თა დაცვის ინსპექტორ თამარ ქალ-დანთან ერთად, აბსოლუტურად ევროპული და თანამედროვე მიდ-გომაა... მოსმენებს შინაგან საქმე-თა სამინისტრო განახორციელებს, რომელსაც მონაცემთა დაცვის ინ-სპექტორი გააკონტროლებს. არის ევროკავშირის წევრი ქვეყნები, სა-დაც ე. წ. გასაღები შს-ს და უსაფრთხოების სამსახურების მფლობელობაშია, მაგრამ მათ და-

ნესებული აქვთ მონიტორინგი“. როგორც აღვნიშნეთ, ეს აზრი მიუღებელი აღმოჩნდა ქვეყნის პრეზიდენტისთვის, არასამთავ-რობო სექტორისა და საპარლა-მენტო ოპოზიციისთვის. იმ დადა-მიანებისთვის, რომლებსაც არა-სოდეს 9 წლის მანძილზე არც-ერთხელ არ გაუპროტესტებიათ სრულიად უკანონოდ და ქაოტუ-რად განხორციელებული თვალ-თვალის; არათუ ოპონენტებსა და საზოგადოების უმრავლეს ნა-წილზე, არამედ მათზეც კი.

ინფორმაცია თემაში

პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა დღევანდელი კონსტი-ტუციით გამარტივებულია, ამისთვის 76 ხმა არის სა-ჭირო. მოქმედი კონსტიტუციით, თუკი პარლამენტი ვე-ტოდადებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის შენიშვნების გაზიარებას აპირებს და ვეტოს დაძლევა არ სურს, შე-ნიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდე-ნობა, რაც კანონპროექტის მიღებას სჭირდებოდა - დამ-სწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენ-ტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა (სულ მტი-რე 50 ხმა).

პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შემთხვევაში კი, რაც პირვანდელი კანონპროექტის კენჭისყრას გულისხმობს, მის მისაღებად საჭირო იქნება პარლამენტის სიითი შე-მადგენლობის ნახევარზე მეტი - ანუ 76 ხმა.

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ვეტოდაძლეულ კა-ნონს დადგენილ ვადაში ხელს კვლავ არ მოაწერს, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

გიორგი მარგველაშვილმა სა-მართლდამცავ სისტემას ნორმა-ლური ფუნქციონირების გაგრძე-ლების უფლება არ მისცა. მიზე-ზი ასეთია: „მე დავიბადე საბჭო-თა კავშირში, სადაც ვიცოდი, რომ ჩვენ გვისმენდა კავებზე, ამით გავი-ზარდე. შემდეგ მე ცვსოვობდი პოსტსაბჭოთა საქართველოში, რომელშიც სახელმწიფოს გაძლი-ერების სიმბოლოდ სააკაშვილის რეჟიმმა უკანონო მოსმენები აიღო

და შემდეგ, ჩვენ ყველამ ერთად ამ რეჟიმს განაჩენი გამოვუტანეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ორი წლის თავ-ზე საზოგადოება ამ თემაზე უკვე შეთანხმებულია, ხოლო კონსენსუ-სი კანონის ფორმაში უნდა დავა-ყენოთ“. პრეზიდენტმა თავისი გა-საკეთებელი გადაწყვეთა, მაგრამ, რა ეშველება იმ მოუწესრიგებელ სისტემას, რომლის წინაშეც დღე-იდან აღმოჩნდება ქვეყანა? - ამა-ზე არ იფიქრა?!

პარლამენტარი ვახტანგ ხმალა-ძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის გა-

დაწყვეტილება არასწორია, რა-საც უმრავლესობის უდიდესი ნა-წილი ეთანხმება. მაგრამ მათ რი-გებს არ მიეკუთვნება ალასანიას თანაგუნდელი ვიქტორ დოლიძე: „ჩვენ კენჭისყრისას კანონპროექტს მხარი არ დავუჭირეთ, - აღნიშნა მან, - მიმართა, რომ ეს პროცესი გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს, შემჭიდროვებულ ვადებში, გონივ-რულად. ეპოქალური ცვლილებას, რომელიც მოსმენებს, თვალთვალს

შეეხება, ერთხელ და სამუდამოდ წერილი უნდა დაესვას“.

პრეზიდენტის გადაწყვეტილე-ბას აღფრთოვანებით შეხვდა მე-სამე სექტორი: განსაკუთრებით კამპანია „ეს შენ გეხება“ და ეკა გიგაური, რომელმაც პრეზიდენტს გაზედული ნაბიჯის გამო მადლო-ბა გადაუხადა: „ყველაზე მეტად სა-ქართველოს პრეზიდენტის იმედი გვექონდა. მან დაამტკიცა, რომ სა-ქართველოს არჩევანი არის დემოკ-რატიული მმართველობის სისტემა. საქართველოს მთავრობის არჩევა-ნიც უნდა იყოს, უპირველესად, ადამიანი და ადამიანის უფლებე-ბი, მისი თავისუფლება. ყველა-ფერს, რასაც ხელისუფლება შექ-მნის, მიმართული უნდა იყოს ქვე-ყანაში პიროვნებისა და ადამიანის დასაცავად. ეს მართლაც ამის და-მდასტურებელი გადაწყვეტილება იყო“, - აღნიშნა მან.

ამ ვეტოს საკმაოდ საინტერე-სოდ გამოეხმაურა ექსპერტი დე-მურ გიორგულიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე: „ეს რა ალია-ქოთი ატყის მოსმენებთან დაკავ-შირებით „ენ-ჯე-ოებმა“, ჰა? 9 წე-ლი სრული განუკითხობისას მათი განრისხება სად იყო, ჰა? ორი გა-საღები, არა?! რატომ სამი არა? იცით, რა გითხრათ... საერთოდ არ მინტერესებს, ჩემს სახელმწიფოში ვინ მისმენს. მისმინონ, მითვალ-თვალონ, არაფერს შეეცვლი ჩემს საქმიანობაში და ცხოვრების წეს-ში, ოღონდ, ქართულმა სპეცსამ-სახურებმა და უფლებამოსილმა ორგანიზებმა მითვალთვალონ და არა გარეშეებმა!!!

ამ კანონპროექტის თაობაზე ატეხილი წიგელ-კვილის არსი ერთ-ია - ავონ ხელისუფლებას და შეასრულონ დამკვეთის დავალებ-ბა... სხვა აზრი ამ ალიაქოთში არ დგას!“ - ასკვნის ექსპერტი.

მოქალაქე, დღეიდან წესითა და რიგით, არავის მოუსმენენ საქარ-თველოში, ვერც კანონიერად და ვერც უკანონოდ... მაგრამ, თუ გა-ვითვალისწინებთ ბიძინა ივანიშ-ვილის ამასწინანდელ განცხადე-ბას, რომ ნაციონალები დღემდე უსმენენ ხელისუფლებას, მგონი, არც თუ ხელსაყრელია პირობები ექმნება ქვეყანას. ალბათ, ურემი რომ გადაბრუნდება, მერე გამოჩ-ნდება, ვინ არის მართალი - ლა-რინაშვილი თუ მარგველაშვი-ლი... ოღონდ, ესაა, ამით ქვეყანას რა ხეირი დაადგება?!

თაა მოსია

ალიანსალიანი

პრაიმერის უახვედრა ახიის განვითარების ბანკის პრაივილიზაცია

პრემიერმა ახიის განვითარების ბანკს მადლობა გა-დაუხადა თბილისში საერთაშორისო საინვესტიციო ფორ-უმის ორგანიზებისთვის, რომლის ფარგლებში 100-ზე მეტი მადალი რანგის სტუმარი სხვადასხვა ქვეყნიდან, სა-ქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებს გაეცნო. ფო-



რუმის მონაწილე ბიზნესმენები კონკრეტული საინვესტი-ციო პროექტებითაც დაინტერესდნენ. ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, საქართველო მზად არის, გამოიყენოს თავისი სტრატეგიული მდებარე-ობა და იყოს რეგიონული ცენტრი და კარიბჭე აზია-სა და ევროპას შორის. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ევროკავშირთან ასო-ცირების ხელშეკრულება ზრდის საქართველოს მიმზიდ-ველობას და ქმნის ახალ საინვესტიციო შესაძლებლობებს ბიზნესისთვის. შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ახიის განვითარე-ბის ბანკის მხარდაჭერის მნიშვნელობას გზების, მუნიცი-პალიტის, ურბანული, წყლისა და ენერჯეტიკის ინფრას-ტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. „ძალიან შთაბეჭდვად ხორციელდება ის პროექტები,

რომელიც საქართველოში ახიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს. პრემიერ-მინისტრთან შეხ-ვედრისას ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ გაეაძლიეროთ საქარ-თველოს მხარდაჭერა მთელი რიგი მიმართულებებით, მათ შორისაა - სესხის გაცემის პოლიტიკა რესურსების მო-ბილიზაციისთვის, კაპიტალური ბაზრის განვითარება და საპენსიო რეფორმა, საჯარო ფინანსები, გზები, წყალმო-მარაგება, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა“, - განაცხადა ახიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა.

სოფარ სუბარი უაუმიანში მსხოვრავ დევნილებს უახვად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოფარ სუბარი, მინისტრის მო-ადგილე მამუკა ცოტიაშვილი და მარნეულის მუნიცი-პალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი სოფელ შა-უმთანში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ. შაუმთანის ჩასახლებაში 187 დევნილი ოჯახი ცხოვრობს. მათივე ინფორმაციით, დევნილ ოჯახებს სასმელი წყა-ლი გრაფიკით მიეწოდებათ, შეხვედრაზე მთავრობის წარ-მომადგენლებს მათ ამ საკითხის გადაწყვეტა სთხოვეს. შა-უმთანში მცხოვრები თითოეული დევნილი ოჯახი 2000 მ2 მიწას ფლობს, თუმცა, არ ხდება ნაკვეთების სათანადო მორ-წყვა. სამინისტრო და მარნეულის მუნიციპალიტეტი ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად ერთობლივად იმუშავენ. სამინისტროს შუამდგომლობის შედეგად, ადგილობ-რივი მუნიციპალიტეტი დევნილთა საცხოვრებელი შენო-ბებისათვის სახურავის შეცვლას აფინანსებს. მუნიციპა-ლიტეტი ასევე სოფელში შესასვლელი ხიდის სარეაბი-ლიტაციო სამუშაოებს აწარმოებს. შაუმთანში დევნილთა საცხოვრებელი შენობები ამ ეტაპ-ზე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება, ოჯა-ხები ფართების საკუთრებაში გადაცემას ითხოვენ. დევე-ნილთა და განსახლების სამინისტრო თავდაცვის სამინის-ტროს, ბინების დაკანონების საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობით მიმართავს.

ნაციონალური მოძრაობა - მესუთა კოლონა!

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისთან ახალ-გაზრდულმა ცენტრმა საპროტესტო აქცია გამართა. აქ-ციის მონაწილეებმა პარტიას რუსეთთან კავშირი დასდეს ბრალი. აქციის მონაწილეების განცხადებით, ნაციონალუ-რი მოძრაობა საქართველოში წარმოადგენს მესუთე კო-ლონას.

მათივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა რუსეთის ინ-ტერესებს ახორციელებს ქვეყანაში და მათ დაძაბულო-ბის შემოტანა სურთ. აქციის მონაწილეებმა ოფისთან და-კიდეს რუსეთის დროშა წარწერით „Запретная зона“ და ბლაკაბატი „მესუთე კოლონა“ და „Единая Россия“.

აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი მსგავს საპ-როტესტო აქციებს მოაწყობენ, რათა ნაციონალური მოძრა-ობას არ მიეცეს საშუალება, რუსეთის ინტერესები გაა-ტაროს ქვეყანაში.

მათივე თქმით, უნდა ჩატარდეს გამოძიება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით და ყოფილი ხე-ლისუფლების მაღალჩინოსნები რუსეთისთვის საქარ-თველოს ტერიტორიების გადაცემისთვის დაისჯოს.



რატომ დუმდნენ არასამთავრობოები ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით ნაციონალურ დროს? რატომ ცდილობდა მათი ნაწილი 26 მაისის დარბევების გამართლებას და ვის სამსახურში არიან არასამთავრობოები დღეს? ამის შესახებ For.ge-ს „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევიდზიანი ესაუბრა.

– რით ახსნით იმას, რომ ნაციონალურ დროს არასამთავრობოების პროტესტს კამპანიური ხასიათი არ ჰქონია? დღეს არასამთავრობოები აპელირებენ, რომ თავის დროზე სწორედ მათ დაიწყეს კამპანია „ეს შენ გეხება“, მაგრამ აღნიშნული კამპანია დაიწყო გაცილებით გვიან, არჩევნების პერიოდისთვის და არა მაშინ, როცა უკანონო მოსმენები ჩვენს საზოგადოების დაშინებას ისახავდა მიზნად.

– არასამთავრობოებს შეუძლიათ, ყველანაირად გაამართლონ საკუთარი საქციელი, ანუ უმოქმედობა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ყველაფერი ეს უკვე იქნის პოლიტიკური ელფერი. ყურნალისტები ვართ და ძალიან კარგად ვიცით, რომ ერთი და იგივე საკითხი შეიძლება ისე წამოჭრა, რომ იქვე ჩააჩუმო, ან მისცე ისეთი ხასიათი, რომ ამას პერმანენტული, კამპანიური და აქტიური უღივქვინი ეფექტი ჰქონდეს.

რაც შეეხება კამპანიას „ეს შენ გეხება“, ჩვენ ყველაფერი გვეხება, მათ შორის, გარემოს დაცვაც და ისიც, რომ სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი და სამართლიანი, მაგრამ იმ დროს, როცა ყველას ტოტალურად გვისმენდნენ, მაგათ ხმა არ ამოუღიათ. შესაძლოა, ერთი-ორი ბრიფინგი ჩაატარეს ვალის მოხდის მიზნით, მაგრამ რალაც ვერ შევატყვევებ დიდი გულისყური მაშინდელი მოსმენების საკითხის მიმართ. შორს რომ არ წავიდეთ, არიან არასამთავრობოები, რომლებიც 2003-ში, ვარდების რევოლუციის წინ, როგორც სამსახურში, ისე დადიოდნენ საპროტესტო მიტინგებზე. ვარდების რევოლუციის მერე კი საერთოდ მოდუნდნენ და ჩათვალეს, რომ ქვეყანაში დემოკრატია გაფურჩქნული. ახლა ძლივს ეს რეჟიმი ხალხმა მოიშორა და უკვე ახალ ხელისუფლებას ემართლებიან იმას, რასაც ათი წელიწადი ძველი რეჟიმი ჩადიოდა.

– მათ რომ ხმა ამოეღოთ, რა შეიცვლებოდა ქვეყანაში?

– თუ არაფერი შეიცვლებოდა, 26 მაისის დარბევის „გაპარავება“ მაინც არ მოხდებოდა, რაც მაგ არასამთავრობოების „დამსახურებაა“. ყოველ შემთხვევაში – ზოგიერთი მათგანის. ეს ის არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც იურისტობაზე დებენ თავს და ამბობენ, რომ არასანქცირებული იყო მიტინგი და ამიტომ ხელისუფლებას, თურმე, დარბევის უფლება ჰქონდა. ბოლოს მე ეს სიტყვათა შეთანხმება – „არასანქცირებული მიტინგი“ მოსმენილი მაქვს 1989 წლის 9 აპრილს. ახლა უკვე ამ მაგალითიდან ნათელია, რომ, გარკვეულ მიზნებს მისდევენ ჩვენი არასამთავრობოები – როცა უნდათ, მსგავსედ წამოჭრიან საკითხს, მათ შორის, მიყურადებისა და თვალთვალის საკითხს და, როცა არ უნდათ, ვითომ არაფერიც არ ხდება.

– ისინი თავს იმართლებენ, მოსმენებთან დაკავშირებით ყოველთვის ვაქტიურობდით, უბრალოდ, არ ვიცოდით, ტექნიკურად ეს როგორ ხდებოდა, დღეს კი ეს ინფორმაცია მობილური ოპერატორებისგან მივიღეთო.

– უცნაურია პირდაპირ... მთელ საქართველოს ჰქონდა ინფორმაცია, ტექნიკურად როგორ ხდებოდა ეს ამბავი, ყოველგვარი სასამართლო სანქციის გარეშე უსმენდნენ ადამიანებს. ეს არასამთავრობოები სად ცხოვრობდნენ იმ წლებში, აქ არ იყვნენ? ეს ძალზე უსაბოვნო და ცუდ ხასიათს იქნეს, როცა თავს იმართლებენ, ჩვენ არავინ მოგვმართაო. რატომ უნდა მოგმართოს ვინმემ, როცა იცი, ქვეყანაში რა ვითარებაა შექმნილი? შენ არასამთავრობო ორგანიზაცია ხარ და სულ არ არის აუცილებელი, განცხადებით მოგმართოს ადამიანი და გითხრას, რომ მისმენენ. მაგრამ ისინი კარგად იყენებენ პრივილეგიას, რადგან კანონი მათ ვერ დაავადებს ყველა საკითხზე მუშაობას. ამიტომ რომელ საკითხსაც უნდათ, იმას ამოირჩევენ და იმაზე იწყებენ ლაპარაკს.

– თუკი მობილური კომპანიები მხოლოდ ახლა გახდნენ „გულწრფელი“ და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აცნობეს ან არასამთავრობოებს თავიანთი „გასაჭირის“ შესახებ, რომ ფარულ ჩანაწერებსა და სატელეფონო მოსმენებს შსს ეწ. შავი ყუთის მეშვეობით ახორციელებს, მაშინ საინტერესოა, რატომ ანდობენ ეს არასამთავრობოები ისევ და ისევ ამ მობილურ კომპანიებს მოსმენებზე წვდომას? საიდან აქვთ იმის გარანტია, რომ აღნიშნული მობილური

კომპანიები რეალობას მომავალშიც არ დამალავენ?

– ამის არანაირი გარანტია არ არსებობს. ჯერ ერთი, ის ორგანიზაციები, თუნდაც კერძო სტრუქტურები, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების ნებას ასე ადვილად დაემორჩილნენ და დანაშაულებრივი მოსმენების განხორციელების საშუალება მისცეს, რა გარანტიაა, რომ ხვალაც იმავეს არ გააკეთებენ? ხვალ ამ არასამთავრობოებს ეტყვიან, რომ მოსმენები აღარ არის პრობლემა და ისინიც დარჩებიან ბედნიერი და კმაყოფილი. საქმე ისევე იქნება, როგორც იყო. ამიტომ არავითარი გარანტია არ არის. საერთოდაც, მრჩება შობებქდილება, რომ ქვეყანაში გამოყვანილია ადამიანების მთელი კასტა, რომლებმაც ყველაფერი უნდა მართონ. პოლიტიკაში

ლი. არასამთავრობოებს არ სურთ, დაინახონ, რომ სასამართლო მაინც არ არის დამოუკიდებელი. უფრო სწორად, დამოუკიდებელია ახალი ხელისუფლებისგან, მაგრამ სხვა ვილაცებისგან დამოუკიდებელი ვერ გახდება. ამ დროს მოსმენებს სჭირდება სასამართლოს სანქცია. საინტერესოა, მათთვის ეს საკითხი რომელი ნომერია? საკითხების ასე დაყოფა არ შეიძლება. მათ რისი დანახვა ურჩევნიათ და რისი არა, ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს.

– არასამთავრობოების მხრიდან ამ თემაზე სპეკულაცია რომ გამოირიცხოს, ხომ არ აჯობებს, მოსმენების გასაღები ისევ არასამთავრობოებს გადაულოცონ? იქნებ, ისინი ამისკენ ისწრაფვიან?

– ისევ იმავე პოზიციაზე ვრჩები – ჩავბარდეთ ამ არასამთავრობოებს და ოჯახის

# ფართოდ გაასილეთ თვალები, ოცნებებო!



არასამთავრობოები არასოდეს შეაჩვენებენ ხელისუფლებას, ვიდრე ნაციონალური იყავით.

არ უნდა იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური პროცესები უნდა მართონ, ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენ, მაგრამ მათ ჭკუაზე უნდა წყდებოდეს ყველაფერი. საერთოდ, რალაც გვინდა ან მთავრობა ან პარლამენტი, შევკრიბოთ ეს „ყველაფრის მცოდნე“ არასამთავრობო ორგანიზაციები და ჩავბარდეთ მთლიანად. მარტო მაგათ სცოდნიათ ყველაფერი.

– ეს კასტა ვისგან არის „გამოყვანილი“? ზოგადად, არავისთვის დაფარული არაა, რომ ნაციონალურ დროს ხდებოდა ზუსტად იმ არასამთავრობოებისთვის სასამართლო პირობების შექმნა, რომლებიც მათი ინტერესის არეულში იყვნენ. დღემდე გრძელდება ამ არასამთავრობოების მართვა და პატრონაჟი?

– გაიხსენოთ რამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია შეუქმნეს ნაციონალურმა თავიანთ ყოფილ მაღალჩინოსნებს – მინისტრებს, მოადგილეებს, დეპარტამენტის უფროსებს, გამგებლებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრებს. არასამთავრობო ორგანიზაცია დაფინანსდება გარეშე ვერაფერსაც ვერ გააკეთებს. ეს დაფინანსება მათ აქვთ და ახლა ვინმეს თუ ეტყვი ეპარება, რომ დღეს ხათუნა ბერძენიშვილი ნაციონალურ სასარგებლოდ რამეს არ გააკეთებს, დააბრალოს საკუთარ მიაშიტობას. პირადად მას რას ვერჩი, ასეთები არიან ყველაგან – თუნდაც ეკატერინა შელაშვილი, ელენე ხოშტარია და სერგი კაპანაძე. აბა, ჩემს და შენს ინტერესებს ხომ არ დაიცავენ? დაიცავენ იმ ყოფილი ხელისუფლების ინტერესებს, რომელსაც ემსახურებოდნენ.

– ირაკლი ლარიბაშვილის ნათქვამს, რომ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო სასამართლოდან თანხმობას ვერ იღებს და ამიტომ მოსმენაზე წვდომა ისევ შსს სამინისტროს ხელში უნდა დარჩეს, არასამთავრობოები არ გუყვნიან არ მიიჩნევენ. მათ არც იმაზე სურთ საუბარი, არის თუ არა სასამართლო დღეს კუბლაშვილის გავლენისგან თავისუფალი. ისინი ამბობენ, რომ ეს საკითხის მეორე თემაა.

– სინამდვილეში, ეს საკითხის მეორე თემა არ არის. ყველა თემა ერთმანეთზე გადაბმულ

დაგეგმვის საკითხიდან დაწყებული, დამთავრებული იმით, როგორ უზრუნველყოთ ჩვენი მოსულებული, პირდაპირ მაგად გადავიწყვიტონ და მათი მითითებით ვიმოქმედოთ. მართლა ასე ხომ არ შეიძლება? დროდადრო იღიძებენ ხოლმე და მერე ბრტყელ ბრტყელ სიტყვებს ისვრიან – ან მივდივართ დემოკრატიისკენ ან ავტორიტარიზმისკენო.

როდის გამოვიდნენ ერთი იმ ავტორიტარიზმიდან? ათი წელი რომ არ დაუნახავთ ის ავტორიტარიზმი და ძალიან ზომიერად იქცეოდნენ იმ წლებში. ერთ მაგალითს ვიტყვი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ყველაზე აქტიური წევრი იყო გიგა ბოკერიძე, რომელმაც სრულიად არ შეუშალა ხელი, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის სანქციონერი და განმარტოვებული გამსხორციელებელი გამსდარიყო მაშინ, როგორც კი მოხვდა ხელი-სუფლებაში. ტიტული „არასამთავრობო ორგანიზაცია“, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ შენ ხარ თეთრი, ფაფუკი და კეთილი. მარტო გიგა ბოკერიძის მაგალითი კმარა აისთვის, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ.

– არასამთავრობოებიდან სამთავრობო სტრუქტურაში გადაბარებული და სახეცვ-

ლილი ადამიანების არაერთი მაგალითი გვექნება. ისინი იმის საწინააღმდეგოს აკეთებდნენ ხელისუფლებაში, რის წინააღმდეგაც ვითომ იბრძოდნენ, როცა იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციაში. პირადად ჩემში არ იხვევს ნდობას, რომ რომელიმე კომისია დაკომპლექტდება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლით, რომლებიც ისევ მაშინ იტყვიან რამეს, როცა ჩათვლიან საჭიროდ, ან მათი მეურვეები მითითებას მისცემენ, როგორც ეს 2003 წლის ნოემბერში ხდებოდა.

– ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. ამიტომ ხელისუფლებამ ამდენი არ უნდა ალაპარაკოს ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც რაიმე საკითხის წამოწევის მორალური უფლება არა აქვს; ამდენი არ უნდა ალაქქონ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გათამამებულნი არიან და ბედავენ იმის ლაპარაკს, რაც არ ულაპარაკიათ ცხრა წლის განმავლობაში, როცა მთელი უბედურებები ხდებოდა. პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ამაზე.

მაინტერესებს, მერაბ ტურავა სასამართლოში აღადგინა ვინმემ, რომელიც ყველანაირი კანონმდებლობის დარღვევით არის იქიდან გამოშვებული? და არა მარტო მერაბ ტურავა, იქ ნინო გვენეტაძე და სხვებიც არიან. სხვა ინსტანციის სასამართლოდან ჰყავთ ისეთი მოსამართლეები გაშვებული, რომლებიც მათი მითითებით გადაწყვეტილებას არ იღებდნენ. ახლა გვადარდონ ჩვენ ნაციონალურების მიერ „კმარას“ დასაქმებული წევრების ბედი ქალაქების მერიაში, თვითმართველობაში და ა.შ. თურმე, მათ მიმართ ირრვევა კანონი, თურმე, სამსახურებიდან ათავისუფლებენ, თურმე, როგორ შეიძლება მათი გათავისუფლება.

ვერ გავიგო, თუ ტურავასა და გვენეტაძის, ამ უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტების, გათავისუფლება შეიძლებოდა, ყოფილი „კმარელები“ ვინ არიან, რომ მათზე განსაკუთრებული უფლებები ვრცელდებოდეს? მე ყოფილი სახალხო დამცველი ვარ, ჩემთვის მიუღებელია ნებისმიერი ადამიანის მიმართ დარღვევა, მაგრამ, როცა შენ არ აღადგენ სამართლიანობას ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დღეს მოქმედი მოსამართლე რატომ მოიკლავს თავს ვილაცის უფლებების დასაცავად? არადა, ეს იქნებოდა მთელი მოსამართლეთა კორპუსის მიმართ მაგალითი, რომ სამართლიანობა არსებობს თავად მოსამართლეთა მიმართ.

– არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ ისეთი მექანიზმი არ უნდა აიარჩიონ ქართველებმა, რომელიც საერთოდ აზრს დაუკარგავს მოსმენების ოპერატიულ ღირებულებას. თქვენი აზრით, კომპრომისული ვარიანტი როგორ უნდა მოიხსნას?

– კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ გადაუდებელი აუცილებლობისთვის, ანუ ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს მოსმენები და შემდეგ 48 საათის განმავლობაში უნდა მოხდეს მისი დაკანონება სასამართლოს გზით. თუმცა, აქაც რჩება რისკი, რომ შესაძლოა, მოსამართლემ არ გაიზიაროს შსს-ს მოთხოვნა და არ დააკანონოს მოსმენები. მაშინ მას მტკიცებულების ღირებულება არ ექნება, მაგრამ ოპერატიული ღირებულება მაინც ექნება.

თუ მონდომებულნი არიან, გამოიძიონ დანაშაული, ყოველთვის შეიძლება საამისო მექანიზმის მოქმედება. ხოლო, თუ მონდომებულნი არიან, რომ არასამთავრობოებმა ტაშმა და უკრან და კარგი ხელისუფლება ხართო, უძახონ, მაშინ წინასწარ უნდა იცოდნენ, რომ ეგ არასამთავრობოები არასოდეს შეაქებენ ხელისუფლებას, ვიდრე ნაციონალური იყუყუყავებენ მეორედ მოსახვედრად.

ესაუბრა ნანა დევიდზიანი

## ალიანალიანი

### 22 ქართველი სტუდენტი უნგრეთში ისნაპლის

უნგრეთის მთავრობის პროგრამით, წელს 22 ქართველი სტუდენტის უნგრულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დაფინანსდა. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მიხეილ ჯანელიძემ საქართველოსა და უნგრეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათშორისი კომისიის მეორე სხდომის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, უნგრეთის მთავრობა ახორციელებს უპრეცედენტო პროგრამას ქართველი სტუდენტების დაფინანსების კუთხით.

„უნგრეთის მთავრობას გამოყოფილი აქვს დაფინანსების პროგრამა 50 ქართველი სტუდენტისთვის ყოველწლიურად. ისინი განათლებას მიიღებენ უნგრულ უმაღლეს სასწავლებლებში. წელს უკვე ამ პროგრამით 22 ქართველი სტუდენტი დაფინანსდა. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალ წელს იქნება კიდევ უფრო მეტი ინტერესი და კიდევ უფრო მეტ ქართველს შეეძლება განათლება უნგრეთის უნივერსიტეტებში მიიღოს“, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

ინტერპრესი



# კვლევა

რა თქმა უნდა, რუსეთის პრეზიდენტის სიტყვების ამგვარი ინტერპრეტაციაში ადვილად იკითხება დემაგოგია, მაგრამ მასმედიაში მხრიდან პროპაგანდა, შესაძლოა, არაერთი მოქალაქე დაარწმუნოს ამგვარი დემაგოგიური განცხადებით. ამიტომ საჭიროა, საქართველოს მოსახლეობას განემარტოს, რომ პუტინის საუბრობდა თავდაცვით გეგმაზე, რომელიც შემუშავებული იყო რუსეთის არმიის გენშტაბის მიერ. მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ თარიღს, როცა მოხდა გეგმის შემუშავება – 2006 წლის ბოლო – 2007 წლის დასაწყისი.

2004 წლის ზაფხულში სააკაშვილმა უკვე მოახდინა შეტაკებების პროვოცირება ცხინვალის რეგიონში, როცა დაიღვრა ქართველი, ოსი და რუსი სამხედროების, ასევე მშვიდობიანი მოქალაქეების სისხლი. სწორედ ამის შემდეგ იწყება თითქმის გამოსწორების გზაზე დამდგარი ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესება. ხოლო 2006 წლის შემოდგომაზე სააკაშვილმა კიდევ ერთხელ შეძლო როგორც რუსეთის ხელმძღვანელობის, ასევე მთელი რუსი ხალხის პროვოცირება, როცა არა მხოლოდ დაპატიმრა, არამედ დემონსტრაციულად დაამცირა შპონაჟში ბრალდებული რუსი სამხედრო სპეციალისტები.

ეს ფაქტი წყალგამყოფი გახდა, მან საბოლოოდ გამოუთხარა ძირი ორმხრივ ურთიერთობებს. როგორც არ უნდა დასუსტებულიყო რუსეთი (თუმცა, სააკაშვილის და მისი მომხრეების შეფასებების მიუხედავად, 2006 წლისთვის რუსეთი სულაც არ იყო დასუსტებული, პირიქით, საკმაოდ გაძლიერდა 90-იან წლებთან შედარებით), იქ ყოველთვის ძალზე მწვავედ აღიქვამდნენ თავისი სამხედროების დამცირებას.

ვთქვათ პირდაპირ: რუსეთი ის ქვეყანა არაა, სადაც ოფიცრებს და ჯარისკაცებს პოლიციის განყოფილებაში სცემენ – სწორედ ეს მოხდა საქართველოში ე.წ. „მუხროვანის ამბოხის“ დროს. ფსევდოქართულმა ხელისუფლებამ დაამცირა როგორც კონკრეტული სამხედროები, ასევე მთელი ქართული ჯარი. სამწუხაროდ, საქართველომ მაშინ ეს მოითმინა და გადაყალბა, ასეთი რამ წარმოუდგენელია რუსეთში. მართალია, რუსეთშიც პოლიცია საკმაოდ კორუმპირებულია, ხოლო ჯარში მრავალი პრობლემაა, მათ შორის ე.წ. დედოფლისა და სხვა, მაგრამ არმია განსაკუთრებული პატივისცემის ობიექტია რუსეთში.

სწორედ ამიტომ, რუსი ოფიცრების დამცირება კრემლმა არ აპატიო „ვარდების რევოლუციის“ ბელადებს. აქედან გამომდინარეობს ამგვარი დამოხვევა – ოფიცრები დააპატიმრეს 2006 წლის შემოდგომაზე, ხოლო ამავე წლის ბოლოს რუსეთის გენშტაბმა დაიწყო გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა დაემყარებინა თბილისის ხელისუფლების გაზრდილ ავრესიოლობას. გამოდის, რომ იმისდა მიუხედავად, თუ რას გეგმავდა რუსეთის გენშტაბი, მთავარი პასუხისმგებლობა მაინც ჩვენს, ქართულ ხელისუფლებაზე მოდის.

2013 წლის მარტში, ევრაზიის ინსტიტუტს დაუკავშირდა ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, ბატონი თენგიზ პაჭკორია, რომელიც, რიგი „ქსენოფობებისგან“ განსხვავებით, აფხაზეთის ყურმოკვრით არ იცნობს. მით უმეტეს, მას, აფხაზეთიდან დევნილს, ვერაინი დასწამებს, რომ საქართველოს ერთიანობის თემა ვინმეზე ნაკლებად ადარდებს. ბატონმა თენგიზმა მხარდაჭერა გამოხატა ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, გულაბათ რეხილაძის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში 8 მარტს გაფლერებული პოზიციის ძირითადი პოსტულატების მიმართ. კერძოდ, ბატონი თენგიზი აღნიშნავს, რომ საქართველოს 1993 წლის შემოდგომაზე კი არ უნდა მიეცა თანხმობა რუსეთისთვის დსთ-ში შესვლაზე, როდესაც სოსხუმი დაეცა და ყველაფერი დამთავრებული იყო, არამედ დროულად, ამ მოვლენაზე ბევრად ადრე. გარდა ამისა, წარმოუდგენელია აფხაზეთთან ურთიერთობების დარეგულირება, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების გარეშე.

ზუსტად ეს პოზიცია აქვს მრავალჯერ გამოხატული ევრაზიის ინსტიტუტს, მის ხელმძღვანელს, წლების მანძილზე. შედარებისათვის ვთავაზობთ ბატონ თენგიზ პაჭკორიას მოსაზრებას, რომელიც მან მე-9 არსზე, გადაცემა „ახალ კაცის მატრიცა“-ში გამოხატა. კერძოდ, აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტის განცხადებით (შესაბამისი მაგალითების მოხმობით), აფხაზეთში დიდ აჟიოტაჟს იწვევს თბილისისა და მოსკოვის შორის ურთიერთობების მოგვარების პერსპექტივა. რა თქმა უნდა, რუსეთი უკან არ წაიღებს აფხაზეთის აღიარებას, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე რუსეთი უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ შედგეს მოლაპარაკება ქართველებთან ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის შექმნის შესახებ, თუკი აფხაზეთიც თანამანი იქნებოდა. ამგვარი პერსპექტივა აფხაზეთის დიდ ნაწილს დღესდღეობით არ ხიბლავს, თუმცა აფხაზეთში არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრებებიც. მთავარია, არსებობდეს გარკვეული „ჩონჩხი“ რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების საფუძვლად – განაცხადა თენგიზ პაჭკორიამ.

**შეამოხმებენ თუ არა: როდესაც რუსეთი უარს იტყვის ამ ტერიტორიებზე და ამგვარად მოხდება თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?**

ჯერ თავად ჩვენ, ქართველები, უნდა გავარკვეოთ იმაში, თუ რა მიზანი გვაქვს. „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ – ეს ის ფრაზაა, რომელიც ამინებს და აუცხოებს ქართველებს აფხაზეთს და ოს ხალხებს, რადგან ეს ტერმინი ომთან ასოცირდება. მათთვის მთავარია, თუ როგორ ცხოვრებას ვთავაზობთ ჩვენ, რამდენად ვუზრუნველყოფთ მათ თავისუფლებას და დავიცავთ მათ უფლებებს. თუ ჩვენ შევძლებთ ამ ყველაფრის უზრუნ-

ველყოფას, რა თქმა უნდა, რუსეთის შუამავლობის პირობებში, მაშინ ამ ხალხების ცნობიერებაში თანდათან შესუსტდება ქართველების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების სტერეოტიპი და ისინი იფიქრებენ ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების შესაძლებლობაზე. ამისკენ მათ უბრალოდ უბიძგებს მომავალში შექმნილი გარემოებები. ახლა ისე ჩანს, რომ ამის წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ ისტორიულ რეალობას ქმნიან ადამიანები, მათ მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს არსებული რეალობა, სამსჯელო მასალას გვაძლევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტი რუსეთის დედაქალაქში (2013 წლის იანვარი). მოსკოვში ის შეხვდა რუსეთის პატრიარქს, ხოლო შემდეგ ილია II მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, და ეს თავად აღნიშნა ილია II-მ, რომ ეს იყო ისტორიული ვიზიტი. მთლიანობაში, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ

# აპოკალიფსის რისკი: პასუხები მოსკოვში



გამოჩნდა სინათლის სხივი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. როგორც ცნობილია, ორმხრივი ურთიერთობები ფაქტობრივად აღარ არსებობდა წინა ხელისუფლების დროს. ახლა კი, შეიძლება ითქვას, ქართულ-რუსული ურთიერთობები განახლდა და ხელახლა იწყებს განვითარებას. ორ ქვეყანას შორის ახალი ეტაპი დგება.

კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტი იმითაც იყო ისტორიული, რის შესახებაც ილია II-მ განცხადების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ. პატრიარქმა ისაუბრა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების მიზეზებზე და განაცხადა, რომ არც რუსეთი, არც საქართველო არ არიან დამნაშავე ამ ომის დაწყებაში. მისი თქმით, დამნაშავეები არიან და ომის გამოშვებ მიზეზს წარმოადგენდნენ კონკრეტული პიროვნებები. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მომენტი ამ ვიზიტის დროს. ჩვენი აზრით, ეს განცხადება არის უმნიშვნელოვანესი და მან დააგვირგვინა პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში.

ევრაზიის ინსტიტუტი მუდმივად ხაზს უსვამდა ამ მომენტს, დაწყებული თავად 2008 წლის აგვისტოს ომიდან, რომ რუსეთს არ დაუწყია ეს ომი, მაგრამ არც საქართველოს დაუწყია იგი. როდესაც ჩვენ და ყოფილი ხელი სუფლებს სხვა ოპონენტები ვამბობდით, რომ სააკაშვილმა დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, მაშინ ჩვენ გვიტყვოდნენ იმ ხელისუფლების წარმომადგენლები და დამცველები. მათი აზრით, იმის განცხადება, რომ სააკაშვილმა დაიწყო ომი, უდრიდა იმის აღიარებას, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ეს კი ქვეყნის მტრობას წარმოადგენდა, ხელისუფლების დამცველების თქმით.

თუ იმ ფორმალური პოზიციიდან გამოვალთ, რომ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი იყო, რა თქმა უნდა, ის წარმოადგენდა ქართულ სახელმწიფოს, და მაშინ მართლაც გამოდის, რომ საქართველომ დაიწყო ომი. მაგრამ თუ ჩვენ საქართველოდ მივიჩნევთ არა მის ყოფილ ხელი სუფლებს, არამედ ქართველ ხალხს, მაშინ სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართველ ხალხს არ დაუწყია ომი რუსეთთან. ქართველ ხალხს არ უნდოდა ეს ომი, არც არასოდეს სდომებია და არც ახლა უნდა. ამის შესახებ არსებობს ჩვენი განცხადებები მსამედიაში, თუ როგორ იქცეოდა ქართული მოსახლეობა აგვისტოს დღეებში, რუსეთის ჯარის შემოსვლის დროს. ხშირი იყო შემთხვევები, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უმსაპინძლედობდა რუსული ჯარის წარმომადგენლებს, საკმაოდ კარგად დაელოდებოდნენ მათ, არანაირ პარტიზანულ ომს და დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ ისიც აღვნიშნეთ ერთ-ერთ სტატიაში, რომ რუსეთის მაგივრად რომ ყოფილიყო სხვა რომელიმე მეზობელი ქვეყნის ჯარები, მოსახლეობას უფრო სხვა რეაქცია ექნებოდა. ამიტომ, კათოლიკოს-პატრიარქის ეს ბრძნული განცხადება ჩვენითვის ძალზე მისასალმებელია, რადგან

ამით დადასტურდა და განმტკიცდა ის, რაზეც ვსაუბრობდით უკვე წლების მანძილზე.

შემთხვევითი არ არის, რომ ნაციონალური მოძრაობის წარჩენები ძალზე გააღიზიანა ილია II-ს ამ განცხადებამ. ორი მართლმადიდებელი ერის ურთიერთობა, ღვთის მადლით, გრძელდება და პატრიარქის ისტორიული ვიზიტი ამის მაჩვენებელია.

ასევე უნდა აღინიშნოს რუსეთის პრეზიდენტის, ვ. პუტინის ბრძნული პოზიცია, რომ მას არ განულებია სურვილი საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენის და ქართველ ხალხთან მეგობრობის. შეიძლება ითქვას, რომ იგი და მისი სახით მთლიანად რუსეთი არის საქართველოს მხარეს. ის, რომ არსებობს მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები, სხვა საკითხია, მაგრამ ახლა მთავარია, დალაგდეს ურთიერთობები რუსეთთან. აქედან გამომდინარე და თუკი ვინმე მართლა არის საქართველოს მტერი, ეს არის ის, ვისაც არ სურს ამ მეგობრობის აღდგენა. უნდა გავსოვდეს, რომ საქართველოს მტრებს უმნიშვნელო, პირველ რიგში, საქართველოს მეგობრობას რუსეთთან. მათ ვერ სძინავთ მშვიდად, როცა

გ. რცხილაძე: – სამწუხაროდ, სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა, თავიანთი ოკეანისგამდელი მფარველების ხელშეწყობით, ჩაიდინეს ის, რისიც ყველაზე მეტად მემწიონდა: დაიღვრა სისხლი რუსეთის და საქართველოს არმიებს შორის.

რუსეთი იძულებული იყო, მას უბიძგეს იქითკენ, რომ ელიარებინა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ე.წ. „დამოუკიდებლობა“. ეს დამოუკიდებლობა სრულიად ეფემერულია და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ რუსეთის სხვა გზა არ ჰქონდა, რომ შეენარჩუნებინა თავისი ყოფნა კავკასიონის ქედის სამხრეთით. სხვაგვარად უკვე აღარ გამოდიოდა.

საკაშვილის მთავარი „მიღწევა“ – მან შეძლო, გავფუჭებინა ფუნდამენტური რუსულ-ქართული ურთიერთობები. ახლა, როგორც არ უნდა მეგობრობდნენ რუსეთი და საქართველო, ეს პრობლემა დარჩება და მოწამლავს ურთიერთობებს. რუსეთის ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ გავა დრო, შეიცვლება თაობები და ისინი შეეგუებიან ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობას. მაგრამ ეს არ მოხდება!

ამავე დროს, საჭიროა, რაღაცით დავიწყოთ. დავარეგულიროთ, პირველ რიგში, ეკონომიკური ურთიერთობები, აღვადგინოთ ჩვენი ინტენსიური კულტურული და ეკონომიკური კავშირები, გავაძლიეროთ კავშირები ერთმორწმუნეებს შორის – ჩვენ ხომ ვართ მსოფლიო კულტურის სიის შვილები ვართ. საჭიროა ბევრით ყოველდღიური მუშაობით დავკავდეთ და ეს პრობლემური საკითხები დროებით გვერდზე გადავდოთ – როგორც იცნობდა აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსი.

**„ვგლიადი“ – ეკონომიკის რომელი მიმართულებების მიხედვით შეიძლება თანამშრომლობის აღდგენა პირველ რიგში?**

გ. რცხილაძე: – პირველ ყოვლისა, ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ღვინოებს... მაგრამ არის სხვა ინტერესებიც. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია აუცილებელია, რომ ბიზნესმენებს გაუადვილდეთ კონტაქტების დამყარება.

**დასკვნა:**

წინამდებარე ანალიზის მიზანია, ნათელი მოჰქონოს საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტს – 2008 წლის სამხედრო კონფლიქტს რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის. თუ არ იქნა გააზრებული ამ ომის დაწყების რეალური მიზეზები, ქრონოლოგია და ის, თუ ვის აწყობდა მისი გაჩაღება, ჩვენ ვერ გამოვალთ შიდა თუ გარე ძალების მიერ შექმნილ მრუდ სარკეების ტყვეობიდან. ამის გარეშე კი შეუძლებელია საქართველოს განვითარების პერსპექტივებზე სწორი მსჯელობა.

შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ:

ა) 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი დაიწყო მიხეილ სააკაშვილმა, აშშ-ის იმდროინდელი ადმინისტრაციის ნაქმრებით და როგორც მინიმუმ, წაყრუებით.

ბ) რუსეთი ობიექტურად არ იყო დანიტერესებული სეპარატისტული რესპუბლიკების დე ფაქტო აღიარებით, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მას სხვა გამოსავალი არ დაუტოვა საქართველოს ხელისუფლებამ.

გ) რუსეთი იღვას არ არის დანიტერესებული საქართველოს დაშლით და დანაწევრებით. პირიქით, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთი მომავალში გახდეს საქართველოში მცხოვრები ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშემწყობი და გარანტი.

დ) ტყუილია სააკაშვილის და ნაცემობის პროპაგანდისტული მტკიცება, რომ რუსეთი საქართველოს დამპყრობელი და ბუნებრივი მტერია. ორ ქვეყანას შორის შექმნილი რთული სიტუაცია სააკაშვილის რეჟიმის და ცალმხრივად პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ბრალია.

უკვე საქართველოს მოსახლეობაზე და მის მიერ არჩეულ ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გააცნობიერებენ ისინი არსებულ რეალობას და შესაბამისად, აირჩევენ იმ გზას, რაც წარსულის შეცდომების გამოსწორების საშუალებას მოიტანს. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ერის მტანჯველი ტყვეობის მკურნალობა და საქართველოს სხეულში არსებული იარების გამოთლიანება.

**ევრაზიის ინსტიტუტი, 2013 წლის აგვისტო.**

**რაზიუმე:** ევრაზიის ინსტიტუტის ანალიტიკოსები მოიხილავენ აგვისტოს ომის დაწყების მიზეზებსა და დანიტერესებულ მხარეების მოტივებს. გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ ომის დაწყება არასდროს არ აწყობდა რუსეთის ხელისუფლებას, მით უმეტეს, ეს არ იყო ქართველი ხალხის ინტერესები. დოკუმენტური მასალები ცხადყოფენ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ომის წამოშწყობი, რომლის წარმომადგენლები „რუსულ აგრესიაზე“ მხოლოდ 9 აგვისტოდან ალაპარაკდნენ, მანამდე კი ცხინვალის რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის“ დამყარებას პირდებოდნენ საზოგადოებას.

ამავე დროს, გამოკვლევაში ნათქვამია, რომ სააკაშვილი არ იყო შურსმძივანი, რომ იგი რუსეთის წინააღმდეგ ომით ნასულყო დასავლეთისგან ნებართვის გარეშე. ამერიკელების მოტივი, ამ შემთხვევაში არის საქართველოსა და რუსეთის ერთმანეთისაგან საბოლოო გათიშვა, რათა კავკასიის რეგიონში ამერიკული ჰეგემონია დამყარდეს, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დატოვება რუსეთის გავლენის სფეროდ ამ პროცესს ვერ აბრკოლებს.

ევრაზიის ინსტიტუტის მასალა მომზადებულია 2013 წლის აგვისტოში, მაგრამ იგი აქტუალური რჩება.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-კულტურული ჩანაწერი №228

თამის ბოლო იუბილეზე უკვე ოთხმოცს გადაცილებული, ივლითის თეთრ კაბაში იდგა... უკვე აღარ მობოქრობდა... მაგრამ გვიღიმიოდა და ბოლო სიტყვაც გამორჩეული სილამაზით გვიტანდა... ისე, როგორც ყოველთვის, იმ დღესაც გვერდი აუარა სამოცდაათი წლის მანძილზე დაკანონებულ შაბლონს, „მადლობა პარტიას და მთავრობასო“. მადლობა მან მხოლოდ საკუთარ ხალხს უთხრა... თქვენი სიყვარული მაცოცხლებსო და წავიდა. გვიამბობს ქალბატონი თინათინ კობალაძე.

უზარმაზარი სიყვარულით მიიღო ქალბატონმა ვერიკომ... მაშინვე მოაწერა ხელი პეტრიცის, რომელიც ქართული ენის დაცვას და ასევე, ზვიადის გათავისუფლებას მოითხოვდა. ისიც უთხრა მათ: თუ დაგჭირდეთ, ამ პეტრიცის მთავრობაში მე თვითონ წავიღებ, მე ვერაფერს მეტყვიან, თქვენ კი რაიმე არ დაგიშავდეთო. მასსოვს, მთელ სიგარეტზე ისეთი დიდი და ფართო ხელმოწერა გააკეთა, რომ გვერდზე სხვა ვეღარ დაეტიდა. განვევ ვაკეთებ ასე, ჩემი ხნის ხალხმა ნამდვილად რომ შეამჩნიონ და უარით არ



ერთხელ, თავის წინა იუბილეზე, მეგობრებს მოსაწვევებზე მართლაც რომ უგზავნიდა, მარია ჩიქოვანის სახელზე სამი მოსაწვევე ვადადო, სიმონი უკვე ცოცხალი აღარ იყო. მარიაკამ, სიმონის სახელზე ვისაც უნდა, იმას მისცეს ეს მოსაწვევით. ეს ისე, უზრალოდ, თითქოს სხვათა შორის თქვა.

როგორ უყვარდა ახალგაზრდობა. შეგვანატროდა, ნეტავი თქვენი ხნისა ვიყო. დიდხანს, დიდხანს მიკვირდა ეს სიტყვები და მხოლოდ ახლა მესმის, რა ტკივილი ყოფილა მათში.

როგორ ახარებდა ჩვენი ერთგული მოძრაობა. ამ სიტყვებს ახლა პირობითი მნიშვნელობა აქვს. ერთგული მოძრაობა მაშინ სინამდვილეში არ არსებობდა. მას მხოლოდ ეპიზოდური სახე ჰქონდა. სულ რამდენიმე კაცი იდგა მაშინ ამ მიმე გზაზე. ხოლო მე, იმ ხანად მთელს ტელევიზიაში ერთადერთი ვიყავი ამ ადამიანთა მთავარ მოძრაობისა და თანადგომის გამო რედაქციიდან წასვლა რომ მიიძღუეს. საშინელება იყო ეს. ძალიან დიდი ენერჯისა და ნერვების ფასად დამიჯდა ყოველივე. ამაზე საუბარი, ახლა ცხადია, საჭირო არაა, მაგრამ თუ მაინც ვისხევი, მხოლოდ იმით, რომ უფროსი თაობიდან ერთადერთი მხოლოდ ქალბატონი ვერიკო იყო, ვისაც მე იმჟამად ამ გულსტკივილს ვუზიარებდი. იგი ჯერ მიჯავრდებოდა, ცუდს არაფერს გადაეყარო, ეს ძალიან საშიშიაო, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფრით ვგრძნობდა, რომ ღრმად განიცდიდა და თანამიგრძნობდა. – შენ ოცდაწვიდმეტი წელი არ გინახავს... ყველაფერმა ჩემს თავზე გადაიარა. თითო-ორილა გადავწიხთ მაშინ, არც ახლა უკეთესი დრო. ოღონდ ვგაა, მასიური მკვლევარობები ისე დიად აღარ ხდება, ახლა უფრო დახვეწილად მუშაობენ. ჩვენ კი, არა გვაქვს უფლება საქართველოს მომავალი მოივუკლათ (ახლაც ჩამესმის, რა გამოგონებელი ძალით თქვა ეს სიტყვები), ჯერ უამი არ მოსულა, მაგრამ მოვა. მე კი ვერა, მაგრამ შენი თაობა ალბათ, შეეწირება მას და მოვლენებს წინ რე უსწრებო... იყოღვე, მოთმინება დიდი სიბრძნეაო, ასე მეუბნებოდა, მაგრამ გაფაციცებით, მღელვარებით მისმენდა და როცა დამირეკავდა და მკითხავდა, რა ამბავია, თუ იცი, რა ისმისო, იმ ახალგაზრდების ბედზე წუხდა, ჩემზე მეტად უმცროსებზე, ცხები რომ ჩაყარეს. იმხანად ხშირად ვწერდით პეტრიცის მთავრობის სახელზე... ხან პატიმრების გათავისუფლებას მოითხოვდით, ხან ქართული ტაძრების პოლიგონებისაგან გადარჩენას, ხან მეტეხსა და შიომღვიმეში ეკლესიების გახსნას, ხან საინვილიოს ამბებზე და ქართული ენის გადარჩენისათვის ვწრივალდებოდა და ყველა ამ პეტრიცეზე ვწრივალდებოდა. თუმცა, თქვენი ხნისა არა ვარ, მაგრამ მეც ის ტკივილი მტკივა, რაც თქვენ. ზოგჯერ არც კი მომწონს თქვენი ასეთი მღელვარება, მაგრამ მაინც თქვენთან მინდა ყოფნა. ანთებული, აღვლევებული თვალვებით შემოგვეყურებდა და მთელი სულით მართლა ჩვენთან იყო, თავის ტანჯულ სამშობლოსთან. მასსოვს ჩემი მეგობრები (ნანა ჯაფარიძე, ციალა არდაშელია, იზო ჭელიძე, ზურაბ თორია) 14 აპრილის წინა დღეებში რა

# სცენაზე და სცენის მიღმა

## დაუმთავრებელი ნიბელიან

ისმე მასთან საუბრის ჩანაწერს ვფურცავ...

„საუკუნის მანძილზე განყენებულთა სავანეებიდან კაცობრიობას ესმოდა „გრძნობათა მგზნებარე და ნაბი მოძრაობა“. იქ ნახა სტუმრანთა მოყვარე თავგმესაფარი ხელოვნებამ, პოეზიამ, მეცნიერებამ. ილიას „განდევილი“ ავიღოთ. რამდენს წერენ და ლაპარაკობენ. ამას წინათ ტელესპექტაკლიც ვნახე. არ არის სწორი. რა ფასი უნდა ჰქონდეს განდევილობას, საერთოდ, იმ მაღალ და უსუფთავეს გრძნობას, სულის სიმბოლეზე აღსვლას, თუ მას ცხოვრების თუნდაც ყველაზე ლამაზ ანსთან არ გააიგივებ“.

\* \* \*

ქალბატონ ვერიკოს სიტყვა: მთელი ჩემი ცხოვრება სცენაზე ვარ და გვერდი რამ, რასაც ვისმენ, არც კი მტერა. არ მტერა, რომ ეს მე ვარ, რომ ჩემზეა ლაპარაკი. ეს უცნაური გრძნობაა. შეიძლება ეს გრძნობა მეხმარებოდეს მე იმაში, რომ არასდროს მითამაშია ისეთი როლი, რომელიც ჩემში სრულკამათივით იწვევდეს, რომ მე ჩემი თავით ვიყო ამსოლუტურად კამათივითი. ყოველთვის რაღაც მაკლავს ხოლმე და სულ იმასაც ვფიქრობ, როცა ვთამაშობ, აი, დღეს ვერ გამოვაჯილნე ყველა ის გრძნობა, ყველა ის ჩანაფიქრი, რომელიც მიტრიალებს თავში, ან გულში, რომ ამ, შემდგომში მე მას განვახორციელებ. გრძელი წლების მანძილზე სულ ეს მაწვავლებდა. იყო ისეთი რომელიც... მაგალითად, ძალიან კარგი, საინტერესო სახე ოსტროვსკის „უმბითვოდან“ – ლარისა. ჩემზე დაიწერა კარგი წერილები. ამ როლით საკავშირო შეჯიბრებშიც მიმიღია მონაწილეობა. იქაც მაღალი შეფასება მომეცა... ზალტმანის ასეთი წერილი ყავს დადებით, მე რომ ვკობივარ ძალიან მეგრ განთქმულ ლარისას. მაგრამ თვითონ ყოველთვის უკმაყოფილო ვიყავი. ეს საერთოდ მახსიათებს. მე სულ ვგრძნობ, რომ ლარისა ჩემს გვერდზე მოდის და არასოდეს არ მიგრძნობს არც ერთ წარმოდგენაზე, რომ მე და ის შევერთოდით.

ასეთი გრძნობა ხშირად მაწვავლებდა. მაგრამ იყო ისეთი როლი, როგორც მაგალითად მარგარიტა გოტიეა. როგორც პირველად წავიკითხე, ისევე ვითამაშე. მთელი ჩემი მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ შემენახა პირველი რეპეტიცია, ის რაც მაშინ ვიგრძენი, შემენახა ბოლომდე. ორი თვე მიმდინარეობდა რეპეტიცია და ორი თვე მე ვცდილობდი ის პირველი ჩემი წაკითხული სახე მიმეტანა სცენაზე. არის ხოლმე ასე-



გავისტუმრონო. მკითხველმა კარგად იცის, რა ძნელი კი არა, როგორი წარმოუდგენელი იყო მაშინ ასეთი რამ. ამიტომ ვერ მოიქცა ასე მორე დიდი, ჩვენი ერთსათვის ასევე დიდად საყვარელი მსახიობი. ასე და ასე, ხელის მოსაწერად არიან მოსულები და რა ვქნაო. იქედან კი, ცხადია, სათანადოდ დამოდგენეს და მანაც უარით გამოგვისტუმრა. მე არ ვწერ იმ მსახიობის გვარს, ხალხს უყვარს იგი და არ მივცემ უფლებას თავს, ამ სიყვარულში მზარი გავუჩინო. მასაც ცხადია, ისევე სტკივდა და უყვარდა თავისი დატანჯული სამშობლო, როგორც ჩვენ, მაგრამ შეეშინდა. ვერიკო კი ამ მხრივაც სხვებზე მაღლა იდგა, ეთაყვანებოდა იმ იდეას, რომლისთვისაც ახალგაზრდობა 14 აპრილს დემონსტრაციებზე გამოვიდა... შემდეგ მე ვუყვებოდი იმ განცდებზე. ჩვენ ხომ მაშინ ყველანი, იმ თქვით ვიყავით გამოსულნი სახლიდან, რომ ცოცხალი უკან თუ დაბრუნდებოდით, არც კი გვევინა. მადლობელი ვარ ღვთისა და საკუთარი ბედისა, რომ ეს დიადი წუთები განვიცადე. თავისი სიმადლით მას 9 აპრილის დილა თუ შეედრებოდა მხოლოდ. გამორჩინებული მისმენდა. მეც ვნახე, მითხრა, მეც იქ ვიყავი და იცი, ყველაზე მეტად რამ შეემძრა? შედეგბილი წამწამებიდან შავი ცრემლები რომ სცვივოდათ გოგონებსო.

სახლში აღარავის უნდოდა შესვლა და ჩვენც სიონთან მივედი. მისი კედლები დაკოცნეთ, მადლი შეეწირეთ ღვთისმშობელს, ვიცინოდით, ვტრიოდით, ძაღვად ვივლიდით... \* \* \*

„Я буду петь о солныце В предсмертный час“ ხოლო „ასი წლის შემდეგ“... სცენაზე იდგა ოთარაანთ ქვრივი. თითქმის უძრავად იდგა იგი და მაინც, კვლავ გიზგიზებდა სცენა. სულ ცოტა ხნის წინათაც, სპექტაკლ „გვირაობაში“ უსიტყვო როლითაც ხელოვნების ბეიმში გვარწმუნებდა.

„სახარებას“. მისმა საუბრებმაც სხვანაირი დატვირთვა მიიღო ბოლო ხანებში... უფრო რელიგიური, ღრმად სულისმღერი. ახლა, რა თქმა უნდა, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც, შეძლებისდაგვარად მინდა, აღვადგინო ეს საუბრები: „...ადამიანი ყოველთვის იმას ვერ აკეთებს, რაც უნდა. ამას მევერს მიზნად შეიძლება შექონდეს... თვით მონაგანი სულიერი მოძრაობაც. აბა მომისმინე... რომაელთა ეპისტოლეს ვკითხულობ: „ესე უწყით, რამეთუ შსკული სულიერ არს, ხოლო მე ხორციელი ვარ და განვრდილი ცოლუასა შინა. რამეთუ რომელსა იგი ვიქმ, არა, ვიცი, რამეთუ არა რომელი იგი მე მნემავეს, მას ვიქმ, არა, ვიცი, რამეთუ არა რომელი იგი მე მძულს, მას ვწყვიტ. ხოლო უკვე ვწყვიტ, რომელი იგი მე არა მნემავეს და მას ვწყვიტ, არღარა მე ვიქმ მას. არამდე, რომელი იგი დამკვიდრებულ არს ჩემთანა ცოლუა. ვკპოვო მე შსკული, რომელსა უნდეს

გამრჩევა. დასაწყისი №. „პირაპალს საპითხაპი“ № 227

თი ბედნიერი როლები, მაგრამ ისინი ცოტანი იყვნენ ჩემს ცხოვრებაში. ავიღოთ თუნდაც კლავიატრა. მასზედ მუშაობა ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერება იყო. ეს იყო უძნელესი და ურთულესი სამუშაო. მე სამინისტროს ვამუშავებ მისმა სახემ. რაც უფრო ღრმად შევდიოდი, მით უფრო მშორდებოდა კლავიატრას და მით უფრო დიდი სურვილი იყო ჩემი, როგორმე ღრმად ჩავწვდომოდი მას. უძირო როლია. ასეთი მუშაობის პროცესი, რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა.

მე არ ვიცი, როგორ განვასხორციელებ, მაგრამ ეს სამუშაო ჩემთვის, უაღრესად საინტერესო იყო. ანდა, ისეთი როლი, როგორც მედია... მედია განხორციელება მე უნდა, უეჭველად, არჩილ ჩხარტიშვილს მივუკუთვნებ. დიას, მან ისეთი წარმოდგენა შექმნა... მუსიკა რაღაც უცნაური... რომელმაც ისე შეავსო სცენა, რომ პირდაპირ საოცრება იქნებოდა, რომ შიგ არ ჩართულიყავი. მე ვფიქრობ, ეს არჩილის ერთ-ერთი უძლიერესი წარმოდგენაა და ჩემი ნამუშევარიც, თუ რამე მოვახერხებ, მას ეკუთვნის, კიდევ ერთი რამ მინდა, ვთქვა: იცით, ასეთი რამ მემართება: საოცრია, სპექტაკლის წინ, ერთი-ორი დღით ადრე, ვგრძნობ ხოლმე, ხშირად მიგრძნობს ეს, რომ ავად ვარ. შემთხვევები ყოფილა, როცა დამინერვია თეატრში და აღმინისტრაციისთვის მოთხოვია, ვერ შევძლებ ზეგ თამაშს, და - ძალიან ვთხოვ, ან შევკალეთ, ან ჩემმა შემვლელმა ითამაშოს-მეთქი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, თეატრის შევჩერება ამას. არ მათავისუფლებდნენ და სპექტაკლზე მოვდიოდი სულ ავადმყოფი, ვიწყებდი თამაშს და ირკვეოდა, რომ მე შესანიშნავად ვგრძნობ თავს, კარგად ვარ. მიხვდები, რომ ეს არის წინასწარი, ე. ი. წარმოდგენის წინააღმდეგობა, თუ შეიძლება ავრე დავარქვათ. ჩავეფიქრდი მას და შევამჩნიე, რომ იმ შემთხვევაში ხდება ეს, როცა როლი მიყვარს. როცა მე და ის გმირი, რომელსაც ვასახიერებ, ვართ ერთი. მე ჩემი თავი დავკარგე და სრულიად ვცხოვრობ და ვცოცხლობ იმ გმირის გრძობებითა და ინტერესებით. ვგრძნობდი სისუსტეს და მიხვდები, რომ თითონ ჩემი ბუნება, ე. ი. ადამიანის ფიზიკა ისვენებს, იცით? ალბათ, ეს ინსტიტუტურად ხდება. ეს ძალიან საინტერესოა.

მინდა, გავისხენო ჩემი პირველი მასწავლებელი, სულის ჩამდგმელი ჩემი, უაღრესად საყვარელი... რაც დრო გადის, მე ის უფრო და უფრო მიყვარს. მისი მნიშვნელობა ქართულ თეატრში უფრო და უფრო იზრდება... არ იფერფლებს...

ეს არის კოტე მარჯანიშვილი. გავისხენო ის ჩემი პირველი თაობა თეატრისა, ახალი ქართული თეატრისა, რომელთანაც მე ვთამაშობდი და რომლის მოტრფეალე და დიდი თავყვანისმცემელი ვიყავი... უშანგი! უშანგი რომ გარდაიცვალა, მე მას ვუთხარი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე (რომ უშანგი ძალიან ცოტა ხანს იყო ჩვენს სცენაზე. 10 წელიწადი იმუშავა მხოლოდ) სულ მქონდა სურვილი, მას დავეწოდი. მივეყენებოდი, მის უკან, სულ მიხლოდა, მივწოდი და ვერაფრით ვერ მივწიე. უშანგის სიყოცხლის დროსაც მივთქვამს ხოლმე ეგა და საშინლად უხაროდა. ასევე გავუთქოვო მას, უკვე მიცვალვებულს. ასევე შალვა ღამბაშიძე, ჩემი უახლოესი პარტნიორი პირი, ან კიდევ, ჩვენი თეატრის ვარსკვლავი - გიორგი შავგულიძე და სხვა მრავალი ძვირფასი მეგობარი.

მე იმედი მაქვს, რომ ქართული თეატრი უფრო ბრწყინვალე იქნება, ვიდრე ჩვენს დროს იყო, ვიდრე ეხლა არის. უფრო ამაღლებული, მსახიობისთვის უფრო მეტი სიყვარული. დღეს მსახიობი უფრო რთული კატეგორიით, უფრო რთული თვისებებით უნდა დაიტივითოს. ჩვენი დრამატურგიაც ცოტა შეცვლილია. თავად ადამიანებიც ახალი ხარისხით მოდიან, სხვა თვისებებით, და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობას, ჩვენს მომავალს, სჭირდება ძალიან დიდი შრომა. მხოლოდ ერთი რამ მინდა, შევხვედრო მათ. ნუ დაივიწყებენ ჩვენს წარსულ თეატრს, ჩვენს წარსულ მსახიობთა მოღვაწეობას და იმ დიდ ტრადიციებს, რომელიც შექმნილია ქართულ თეატრში. ეს ძალიან მიხებმარება მათ დღევანდელ მუშაობაში და პერსპექტივა თეატრისა და მხოლოდ მაშინ იქნება ნათელი, როცა ის დამკვიდრებულია ყველა მის საუკეთესო შენაძენზე. აქ მსხდომი მეგობრების, მეგობრის თაყვანისმცემელი ვარ, მეგობრის ჩემთვის არის ძალიან ახლომყოფი, ძალიან ძვირფასი და მათი შექმნა ჩემთვის არის დიდი განძი. დიდი მადლობა...



საპარტეზლოს უახლესი ისტორიის ყველაზე მძაფრი მოვლენები დღემდე არ განხილავთ იურიდიულად სახელმძღვანელო და სათანადოდ ახსნილი, რომ აღარაფერი ვთქვათ მორალურ მხარეზე.

მევერ პასუხაუცემელ კითხვას გულისხმობს საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრემიერის ბესარიონ გუგუშვილის საუბარი, რომელიც ამა წლის ზაფხულში, ფინეთში ჩაიწერა რეჟისორმა ზვიად მიქაელაძემ. მადლობას ვუხდით ამ ექსკლუზიური მასალის მოწოდებისთვის და ვიმედოვნებთ, რომ მკითხველს მრავალფეროვანი ალტერნატივა ამ მასალაში მოყვანილი არგუმენტები.


უნდა, მე არ ვარ თანახმა. სასურველია, თუნდაც მათ ხელისუფლებამ, რომელსაც არ ვცნობ, აუცილებლად დაამთავროს ეს საქმე, ჩვენს წინააღმდეგ აღძრული საქმე, ვითომ ჩვენ ვიყავით უკანონოები და არა პუტჩისტები. აქ მიღებული უნდა იქნას პრინციპული გადაწყვეტილება, რომ კრიმინალები ისინი არიან.

რახან ჩემი საქართველოში ჩასვლა ასეთ ხელმოწერას მოითხოვს, მე თუნდაც ამიტომ არ დავბრუნდები. მეორე ფაქტორი: ვინ არიან? სად ჩავდივარ? ქვეყანას, სახელმწიფოს, რომლის პრემიერ-მინისტრი მე ვიყავი და დღემდე ვრჩები, იმიტომ, რომ ჩემ გადაწყვეტებზე არავითარი ლეგიტიმური დოკუმენტი არ არსებობს, ერქვა საქართველოს რესპუბლიკა. დღემდე ვქონდა გამოსახული თეთრი გიორგი, დროს იყო სამფრთხიანი, კონსტიტუცია სხვა იყო... დღეს რა ქვეყანაა? რა სახელმწიფოა? საქმე ის

მოსავალი არ მექნება, სარჩოსთვის უნდა მივმართო ვილაცას. ჩემს ასაკში მერვეჯა პენსია, რომელსაც ვეცნი ვაატარებდნენ როგორც ექს-პრემიერ-მინისტრის პენსიას. ეს არ არის პატარა თანხები, საკმაოდ სერიოზული თანხები და ძალიან კარგად ცხოვრობენ, როგორც ვხედავ, იქ ვინც ჩამარდა. ყველა ჩამარდა და კარგ პენსიას იღებს, საქართველოსთვის სავსებით საკმარისს, მაგრამ რას ნიშნავს ეს ისე? იმ მტერს, რომელსაც ე.წ. „სამოქალაქო ომის“ დროს ვებრძოდი, ახლა უნდა პენსია ვთხოვო. ასე, რომ ელემენტარული, ყოფითი თვალსაზრისითაც კი, ეს ნიშნავს დამორჩილებას. აქამდე უნდა დამდაბლდე და მტერს უნდა ჩავეუარდე ხელში. ფინეთის ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მომხრე არაა, მაგრამ ნეიტრალურები არიან ამ საკითხში. ამათვის მე ვარ პოლიტიკური თავმჯდომარის მქონე ადამიანი და ასეც ვრჩები.

ახლა დააკვირდით კიდევ ერთ საცოდაობას: ვილაც-ვილაცები ცხოვრობენ დასავლეთში, ჩაღიან საქართველოში სისტემატურად, თან ითვლებიან პოლიტიკურ ლტოლვილებად. კი, მაგრამ თუ პოლიტიკური ლტოლვილი ხარ, ესე იგი გდევნიან იმ ქვეყნიდან, მაგრამ თუ იმ ქვეყანაში ჩავსვლავ, ხარ ელემენტარული ბოშა. ჩასული ხარ დასავლეთში იმისათვის, რომ გქონდეს პენსია, საქართველომ უზენაესი საბჭოს დეკრეტის და იმავდროულად საზღვარგარეთ სოციალურზე იცხოვრო. გამოდის, რომ პარაზიტობ ქართველი ხალხის ხარჯზე და იმ ევროპელი და ამერიკელი ხალხის ხარჯზე, რომელიც მას არჩენს. ეს დაეკმა. მორალური, სულიერი დაცემაა, ჩემი აზრით, და არ მინდა, რომ დავეცე. მით უმეტეს, რომ ეს იქნება ლალატი იმ საქმის, რომლისთვისაც ჩვენ, ერის მეთაურები, როგორც მთავრობა, ვუძღოდით ხალხს. რისთვის ვაგვყავდა მაშინ ის ხალხი მიტინგებზე, რატომ ვახერხებდნენ? გვეთქვა, რომ დანებდით და ყველაფერი გათავდა, ყველაფერი კარგად იქნება... მოვა მიშა, მერე მოვა გრძობა და იცხოვრებთ არხეინად, კეთილდღეობას მოგიტანთ დასავლეთი. რაზე ვახოცინებდით ამ ხალხს? ეს იქნება იმ იდეის ლალატი, რომლისთვისაც ვილაცები ვითომ იზრდოდნენ. გამოიჩვენა, რომ არაფერი იდეა მათ არ ჰქონიათ. იზრდოდნენ თანამდებობისთვის და დღეს კეთილდღეობისთვის მზად არიან, მტერთან ჩავედნენ, მუხლებში ჩაუვარდნენ, დანებდნენ და ხელი მოუწერონ იმ საშიზმარ დოკუმენტებზე. სინამდვილეში აღიარონ, რომ კრიმინალები არიან. წესით ასეთი საკითხი სასამართლოზე ირკვევა. ეს საკითხი დღემდე ჰაერშია გამოკიდებული. რას ნიშნავს „მეჩვენებოდა“? სამართალი არ ჩვედება. სამართალმა პური უნდა ჭამოსო, ხალხის ენით რომ ვთქვათ. შეიძლება, უკანასკნელი ვიყო, ვინც არ ჩავა, მაგრამ ერთი სიმბოლო მაინც უნდა დარჩეს ისეთი, რომელიც არ ჩავადა. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება გაცილებით პრინციპული აღმოჩნდა. აქ პრინციპი იცით რა არის, თუ ამ გზაზე დგახარ, ბოლომდე უნდა იდგე. როგორც კი გადაუხვევ ამ გზიდან, საბაბის და მიზეზის გამოგონება ყოველთვის შეიძლება. მაგრამ ფაქტია, რომ თუ კაცი ხარ და კაცური კაცი ხარ, ილიამ რომ თქვა, „კაცია ადამიანი?!“ ყველა ადამიანი კაცი არ არის. არაკაცობას თუ დაიწყებ, იქ ყველაფრის გამართლება შეიძლება... ურთიერთდაკავშირებულია ზნეობრივი, სულიერი და სამართლებრივი. სამართალი, რომელიც ზნეობრიობას და სულიერებას არ ეფუძნება, მე ასეთ სამართალს არ ვცნობ... და ეს ჩვენი ხელისუფლების, ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი ხელისუფლების პრინციპი, თვითონ პრინციპის მიერ ჩამოყალიბებული, იყო: ჩვენ ვაშენებდით სახელმწიფოს, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, სულიერებასა და ზნეობრიობაზე და კანონიც, ამდენად, უნდა დაფუძნებული ყოფილიყო ამავე პრინციპებზე. ამიტომ ვახდა ზვიად გამსახურდია მსოფლიოს „მტერი“ ანუ გლობალიზმის სისტემის მტერი.

# 1. თინათის ცივი მზე



ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული ე.წ. საქმე დახურული არ არის. შეჩერებულია. გამოიგზავნეს ოფიციალური ქალაქი პარლამენტთან და პროკურატურისთან, სადაც ლაპარაკია, რომ შეჩერებულია ეს საქმე იმის გამო, რომ დანაშაული დღეს აქტუალური აღარ არის. ე.ი. იმაზე კი არის საუბარი, რომ გამართლებული ვართ, მეც და სხვებიც... საქმე ისაა, რომ შეაჩერეს პროცესი. დააკვირდით, რას ნიშნავს ეს სამართლებრივად: სამართლებრივად ნიშნავს, რომ მე ისევე დამნაშავე ვარ, მაგრამ რახან „ქმედება საშიში აღარ არის“ (პირდაპირ ასე წერია: „ქმედება საშიში აღარ არის“), ესე იგი, ის „მორალტოქმედება“, რომელიც მე ჩამიდგინა ზვიად გამსახურდიასთან ერთად, ახლა საშიში აღარ არის და ამის გამო შეაჩერეს საქმე. ეს გულისხმობს თავისთავად ერთ რამეს, რომ საქართველოში ჩასვლისთანავე, მე უნდა გამოვეცხადდე პროკურატურაში. პირდაპირ მომწერეს და ხელი უნდა მოვაწერო იმას, რომ მე ამის წინააღმდეგი არ ვარ, ესე იგი, მათივე კანონმდებლობით მე სამუდამოდ დამნაშავე ვრჩები, რომელიც არ დაისაჯა იმის გამო, რომ „ქმედება საშიში აღარ არის“ და მე ამას ვეთანხმები. ყველა ვინც ჩამოვიდა საქართველოში, ამაზე ხელი მოაწერა. ხელი მოუწერეს, რომ კრიმინალები არიან, ესე იგი, „უპატიო“ სინამდვილეში. დააკვირდით, რეაბილიტაცია მოხდა და არა გამართლება.

გახლავთ, რომ თვითონ ეს სახელმწიფო არ არის ის სახელმწიფო, რომლიდანაც მე წამოვედი და რომლის პრემიერ-მინისტრი მე ვიყავი. ე. ი. უნდა დავბრუნდე სხვა სახელმწიფოში, რომელსაც ჩვენ ვებრძოდით. „სამოქალაქო ომს“ რომ ეძახიან, იმ ომში გაიმარჯვა ჩვენმა მტერმა. გამოდის, რომ მტერულ სახელმწიფოში უნდა ჩავიდე. ჩასვლა კი რას ნიშნავს? ან ტყვედ ვზარდები, ან ვცნობ. თუ ჩავედი, იმ სახელმწიფოს იურისდიქციას უნდა დავემორჩილო, რომელიც მტერულია იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის პრემიერ-მინისტრიც მე ვარ ლეგიტიმურად (არავის არ ვაგუთავსებდებოდა, განცხადება არ დამიწერია წასვლაზე). ესაა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი, იურიდიულად დასაბუთებული, რაც მე საშუალებას არ მაძლევს საქართველოში ჩავიდე. ჩემი ჩასვლა ავტომატურად ნიშნავს ლალატს იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის პრემიერ-მინისტრიც მე ვარ და თუ გნებავთ, ვიყავი. ნიშნავს ლალატს იმ ათასობით ადამიანის მიმართ, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ. ესე იგი მე იმ საქმეს უნდა ვუღალატო, რისთვისაც ვიბრძოდით და დაენებდე ანსებულ სიტუაციას. ასე რომ, ხელის შემშლელი ობიექტური ფაქტორები არის. ამიტომ ვერ ჩავდივარ. არ ჩავდივარ კი არა, ვერ ჩავდივარ.

გვაქვს პრეცედენტი. ე.წ. მენშევიკური მთავრობა, რომელიც 1921 წელს საბჭოთა რუსეთის აგრესიის შედეგად იძულებული იყო გასულიყო საფრანგეთში, არასდროს არ დაბრუნდა საქართველოში. პრინციპულად არ დაბრუნდნენ, თუმცა, სტალინი პატივებდა, ჩამოხრძანდით, შევწყვიტეთ მრძოლა, მაგრამ მათ თავიანთი პრინციპები არ დათმეს. თუ ამ პრინციპს დათმობ და ჩახვალ, იმ კანონმდებლობის ქვეშ მოექცევი, რომელიც დღეს იქ არის (ხაზს ვუსვამ, კანონმდებლობის!). მტერული სახელმწიფოს დაქვემდებარებაში შედიხარ, ანუ ბარდები ტყვედ. ეს არ მინდა. ამას გარდა, ადამიანს საარსებო საშუალებები უნდა. სახლი არ მაქვს, კარი არ მაქვს, შე-

მოსავალი არ მექნება, სარჩოსთვის უნდა მივმართო ვილაცას. ჩემს ასაკში მერვეჯა პენსია, რომელსაც ვეცნი ვაატარებდნენ როგორც ექს-პრემიერ-მინისტრის პენსიას. ეს არ არის პატარა თანხები, საკმაოდ სერიოზული თანხები და ძალიან კარგად ცხოვრობენ, როგორც ვხედავ, იქ ვინც ჩამარდა. ყველა ჩამარდა და კარგ პენსიას იღებს, საქართველოსთვის სავსებით საკმარისს, მაგრამ რას ნიშნავს ეს ისე? იმ მტერს, რომელსაც ე.წ. „სამოქალაქო ომის“ დროს ვებრძოდი, ახლა უნდა პენსია ვთხოვო. ასე, რომ ელემენტარული, ყოფითი თვალსაზრისითაც კი, ეს ნიშნავს დამორჩილებას. აქამდე უნდა დამდაბლდე და მტერს უნდა ჩავეუარდე ხელში. ფინეთის ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მომხრე არაა, მაგრამ ნეიტრალურები არიან ამ საკითხში. ამათვის მე ვარ პოლიტიკური თავმჯდომარის მქონე ადამიანი და ასეც ვრჩები.

მასალა მოგვარა და  
ზვიად მიქაელაძე.

ჩანართი მუშაობდნენ  
ნიმო სოფარი და კახა შორიძე

საქმე №1/91-2014

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს სახელით

## საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

27 ოქტომბერი 2014 წელი

ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი“  
საარბიტრაჟო მოპასუხე: დიმიტრი როსტიაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

### გ ა მ ო ა რ კ ე ი ა

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს მიერ 2014 წლის 1 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის დიმიტრი როსტიაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 6 აგვისტოს ერთი მხრივ, შპს „სმარტ კრედიტს“ და მეორეს მხრივ, დიმიტრი როსტიაშვილს შორის დაიდო №081300874 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 2170 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 06.02.2014წ.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

– მარკა, მოდელი: მერსედეს ბენცი, ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1999; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WDB2100061B000742. სარეგისტრაციო მოწმობა: AL0670904, სარეგისტრაციო ნომერი: TFT728.

ხელშეკრულების 3.2.12 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დიმიტრი როსტიაშვილს გაუგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მოითხოვულ მისი რეგისტრაციის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს და მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დიმიტრი როსტიაშვილის მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოდა შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაიხილებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

### დ ა ა დ გ ი ნ ა

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე დიმიტრი როსტიაშვილს (პ/ნ 36001033448) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს წარმოებაში შპს „სმარტ კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. დიმიტრი როსტიაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამოიწვევს საპროცესო სამოქალაქო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

3. თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურებაც შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგანიათ შუამდგომლობები.

4. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ნიშნავს საჩივრის ცნობად.

5. მოპასუხე დიმიტრი როსტიაშვილს ეცნობოს, რომ 2014 წლის 25 ნოემბერს 13:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „სმარტ კრედიტი“-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით დიმიტრი როსტიაშვილის მიმართ.

6. იმტრი როსტიაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადგენას.

7. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

8. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/95-2014

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს სახელით

## საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

20 ოქტომბერი 2014 წელი

ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი“  
საარბიტრაჟო მოპასუხე: ბიძინა კუჭავა

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

### გ ა მ ო ა რ კ ე ი ა

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს მიერ 2014 წლის 5 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის ბიძინა კუჭავას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 30 აპრილს ერთი მხრივ, შპს „სმარტ კრედიტს“ და მეორეს მხრივ, ბიძინა კუჭავას შორის დაიდო №041210099 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 3190 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

მხარეთა მიერ 14.07.2012 წელს ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ცვლილება და საბოლოო სესხის ძირ თანხად განისაზღვრა 5190 აშშ დოლარი.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მერსედეს ბენცი ს500; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1996; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WDB1400501A377246. სარეგისტრაციო მოწმობა: AE0040515, სარეგისტრაციო ნომერი: NNN777.

ხელშეკრულების 3.2.12 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 0.7% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ბიძინა კუჭავას სამჯერ გაუგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მოითხოვულ, ისე მისი რეგისტრაციის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და არც ფოსტის მიერ დატოვებულ შეტყობინებას მიაკითხა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ბიძინა კუჭავას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის

დადგენილია, რომ მოპასუხე დიმიტრი როსტიაშვილი რეგისტრაციისა და ასევე მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიანიჭა, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მისობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებით

### დ ა ა დ გ ი ნ ა

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ბიძინა კუჭავას (პ/ნ 01030006152) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს წარმოებაში შპს „სმარტ კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ბიძინა კუჭავას განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამოიწვევს საპროცესო სამოქალაქო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

3. თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურებაც შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგანიათ შუამდგომლობები.

4. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ნიშნავს საჩივრის ცნობად.

5. ბიძინა კუჭავას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადგენას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/93-2014

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს სახელით

## საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

24 ოქტომბერი 2014 წელი

ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი“  
საარბიტრაჟო მოპასუხე: ნოდარ გვარამაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

### გ ა მ ო ა რ კ ე ი ა

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს მიერ 2014 წლის 5 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის ნოდარ გვარამაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 30 ივნისს ერთი მხრივ, შპს „სმარტ კრედიტს“ და მეორეს მხრივ, ნოდარ გვარამაძეს შორის დაიდო №061210213 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 2250 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: DODGE CARAVAN 3.3 V6; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2000; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №1B4GP25381B248489. სარეგისტრაციო მოწმობა: AV6860337, სარეგისტრაციო ნომერი: YRY049

ხელშეკრულების 3.2.12 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვეს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 0,7% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნოდარ გვარამაძეს სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მისამართზე, ასევე მის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილზე. თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და არც ფოსტის მიერ დატოვებული შეტყობინებას მიაკითხა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნოდარ გვარამაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნოდარ გვარამაძე რეგისტრაციის მისამართზე არ ცხოვრობს. მის უკანასკნელ ფაქტობრივად საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი სხვა ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიიჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივად გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებით

### და ა დ გ ი ა

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნოდარ გვარამაძეს (პ/ნ 31001009418) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს წარმოებაში შპს „სმარტ კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ნოდარ გვარამაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შევიდლით წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ვებგვერდიანი მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამოიწვევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ეყრდნობა თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღმკვეთ, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგანიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ნოდარ გვარამაძეს ეცნობოს, რომ 2014 წლის 25 ნოემბერს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „სმარტ კრედიტი“-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ნოდარ გვარამაძის მიმართ.

5. ნოდარ გვარამაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადგას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულია ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

## ბანცხალება

შპს „ენგურჰესი“ აცხადებს პირობათა გამოკითხვას სატვირთო ლიფტის მოწოდებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

დეტალური ინფორმაცია შესასყიდ საქონელზე მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

პირობათა გამოკითხვის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მსურველებს დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე შეეძლება მოთხოვნისთანავე 2014 წლის 3 ნოემბრის 14 სთ-დან 6 ნოემბრის 18 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას ქ. 8, ენგურჰესის ოფისი.

პრეტენდენტებმა პირობათა გამოკითხვის შესახებ წინადადება დახურულ კონვერტებში ერთი ორიგინალი და ერთი ასლი ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 7 ნოემბრის 10 სთ-დან 14 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას ქ. 8, ენგურჰესის ოფისი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება პროცედურებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ნომერზე:

მინდია ქობალია 595309906  
პირობათა გამოკითხვის კომისია

## რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე

# პროკლეპის მოგვარება სწორედ მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესებით მოხერხდება

ირანის სახელმწიფო რადიოს „ირანის ხმის“ („გოლოს ისლამსკი რესპუბლიკი ირან“) რუსულენოვანმა სამსახურმა 29 ოქტომბერს ეთერში გადასცა ცნობა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების საგარეუდო შეხვედრის თაობაზე (გიორგი მარგველაშვილის გამონათქვამის ციტირებით) და თან ასეთი კომენტარი მიაყოლა:

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ“ ერთ-ერთ საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტად რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება დაასახელა. თბილისსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური ურთიერთობა განეცა 2008 წლის ომის შედეგად, რომელიც სამხრეთ ოსეთის გამო დაიწყო. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას არა მხოლოდ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ცდილობს, არამედ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილიც, რომელმაც ბოლო დღეებში აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებისკენ მოუწოდა.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება, რუსეთთან დაახლოების პარალელურად, დასავლეთთან ინტეგრაციასაც ცდილობს. ზოგიერთ შემთხვევაში თბილისის პრო-

რუსულ და პროდასავლურ სწრაფვებში აშკარა წინააღმდეგობრივი მომენტები შეიმჩნევა. კერძოდ, შეიძლება დავასახელოთ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებები, რომელიც, ფაქტობრივად, თავისი ქვეყნის პრეზიდენტის პოზიციას ეწინააღმდეგება. ცხადია, რომ ასეთი წინააღმდეგობრივი საგარეო პოლიტიკა ეფექტური ვერ იქნება...

რასაკვირველია, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რუსეთთან დაახლოების ფონზე, ითვალისწინებს წინასაარჩევნო დაპირებას და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეც ფიქრობს. საბოლოო ჯამში, მარგველაშვილი მოსახლეობის წინაშე საკუთარი თავის ისეთ ლიდერად წარდგენას ცდილობს, რომელიც არა მარტო საქართველოს საგარეო პრობლემებზე, არამედ საშინაო სიტუაციაზეც ფიქრობს, ქვეყნის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. მან მშვენივრად იცის ქართველი საზოგადოების აზრი: ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების დიდი ნაწილის მოგვარება სწორედ მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესებით მოხერხდება, – ნათქვამია კომენტარში.

„რადიო გოლოს ირანა“

## დედაიშის უპრკვი



ჩინეთში დაბრუნდა მკვლარი „პატარაქალი“ მომსახრე ბანდა მკვლი რიტუალისათვის. პოლიციის მონაცემებით, დაკავებულმა საფლავიდან ამოიღეს გარდაცვლილი ქალის ცხედარი, რომელიც შუამავალს მიჰყიდეს 18 ათას იუანად (თითქმის 3 ათასი დოლარი). მოგვიანებით ცხედარი მოხვდა შავ ბაზარზე, სადაც გაყიდეს ძველი რიტუალის „ინჰუნი“ (გარდაცვლილთა ქორწინება) შესრულებისათვის.

პარიზის ზღვაში დაიშხვრა მსუბუქმოტორიანი სატვირთო თვითმფრინავი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფოსტით



ბორტი, რომელსაც ფოსტა გადაჰქონდა, ჩამოვარდა წმინდა მარტინის კუნძულის მახლობლად, ადგილობრივი აეროდრომიდან მალე აფრენის შემდეგ. ერთ-ერთი მფრინავის სხეული ნახეს, მეორე ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, მიმდინარეობს ძებნა. თვითმფრინავი მფრინავმა პუერტო-რიკოსაკენ.

მეოთხე რუსული ჰუმანიტარული ბაზრება ჩაიშალა დონეცკსა და ლუგანსკში ჩავიდა დაახლოებით 50 მანქანა, რომლებმაც ჩაიტანეს 500 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი – კვების პროდუქტები და სამშენებლო მასალები. ამჟამად მიმდინარეობს ტვირთის განაწილება საწყობებში. ავტომობილების კიდევ ერთი ნაწილი ჰუმანიტარული ბაზრებიდან ჩავიდა დონეცკის ბუდუიოვსკის რაიონში საწყობებში გადმოტვირთვისათვის.



რაკეტა ANTARES განადაგურის სტარტზე ოპერატორის ბრძანებით

რაკეტა თავისით არ აფეთქებულა. ოპერატორებმა გამოიყენეს თვითაფეთქების სისტემა მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ გასვლა მოხდა დარღვევით. Antares-ს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე უნდა მიეტანა სატვირთო ხომალდი საკვებით და მონაცემთა სადგურის ამერიკული სეგმენტისათვის.





კალათბურთი

სანიპიძის პირველი გამარჯვება



იმის შემდეგ წინ სტუმრები იყვნენ 2 ქულით, თუმცა, მე-2 ნახევარში რუსული კლუბი შეუჩერებელი იყო.

ქართველმა ფორვარდმა გამარჯვებაში სოლიდური წვლილი შეიტანა. სანიპიძე სასტარტო შემაღენლობაში არ ყოფილა, მოედანზე გატარებულ 22 წუთში კი 9 ქულა, 7 მოხსნა (3 შეტევაში) და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

„ვიკამ“ 4-ვე ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩაატარა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

საინტერესოა, რომ მასპინძელთა მხრიდან 10 და მეტი ქულა ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა ჩაატარა: ფიშერი (14), ზისისი (13), უაიტი (11), კაიმაკოლლუ (11), ლენგვორდი (10), ჯერელისი (10). სასარგებლოა ამერიკელმა ლიდერმა რაკიმ სანდერსმა 18 ქულა მიითვალა.

„უნიქსი“ ევროლიგის A ჯგუფში მომდევნო მატჩს 6 ნოემბერს კაუნასში „უთაგირისის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

ვიტორ სანიპიძის „უნიქსმა“ ევროლიგაში პირველი გამარჯვება იხვია. მე-3 ტურში ყაზანელები იტალიურ „დინამო სასარის“ დაუხვდნენ და 85:62 გაანადგურეს. აღსანიშნავია, რომ პირველი ტა-

ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

რეული „კოსმოსის“ მოთავაზება

ვიტორიანი ესპანელი რეული გონსალეს ბლანკო ამერიკულ „კოსმოსში“ ითამაშებს. ჩრდილო ამერიკის საფეხბურთო ლიგაში მოასპარევე კლუბმა რეულიდან კონტრაქტის გაფორმება დაადასტურა.



„კოსმოსი“ ცნობილი კლუბია. აქ უთამაშიათ პელეს, ბეკენბაუერს და სხვა ლეგენდარულ ფეხბურთელებს. ბელნიერი ვარ კლუბთან ხელმოწერილი კონტრაქტით და იმედს გამოვთქვამ, რომ გუნდს წარმატების მიღწევაში დახმარებას გაუწევს, - აღნიშნა რეულმა.

„კოსმოსის“ ვენესუელელი მთავარი მწვრთნელი ჯოვანი სავარესე მოხარულია რეულის დამატებით. მისი თქმით, გუნდის შეტევის პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

37 წლის ესპანელის ბოლო კლუბი ყატარული „ალ სადი“ იყო. კარიერის საუკეთესო პერიოდი „რეალში“ გაატარა, ხოლო „სამეფო კლუბიდან“ წასვლის შემდეგ „შალკეს“ მაისურითაც მოასწრო თამაში.

„ნიუ იორკ კოსმოსის“ შემადგენლობაში კიდევ ერთი ესპანელი, 38 წლის მარკოს სენა ირიცხება.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

იტალიელი მოდელი კლოზეზე გიჟდება

„მე სექსი არ მინდოდა, შენ ამტყეხ ძალადაო“ - დაახლოებით ასე შეიძლება ეწოდოს იტალიელი მოდელის ანა ფალჩისა და რომის „ლაციოს“ გერმანელი შემტევის მიროსლავ კლოზეს ურთიერთობას, უფრო სწორედ კი, ფალჩის მხრიდან ურთიერთობის დაწყების სურვილს.

ეს ანა ფალჩი „ლაციოს“ თავგადასმევი ქომაგი ყოფილა და ამ კლუბის საშინაო მატჩებსაც ხშირად ესწრება. აქამდე თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ ანა ფალჩიმ განაცხადა - სულ არ მაინტერესებს, კლოზეს ცოლი რომ ჰყავს, მე მაინც ყველაფერი ვიზამ, ამ კაცს სანაოლში რომ ჩაუკოტრივალდეო.

როგორც ჩანს, მიროსლავ კლოზე იუმორთან ახლოს მყოფი კაცი ყოფილა. კლოზემ განაცხადა, რომ ცოლის ლალატს, რა თქმა უნდა, არ აპირებს, მაგრამ მისი ცოლი, ალბათ, გაგებით მოეკიდება სიტუაციას, რადგან კლოზეს ფალჩისთვის სექსის სურვილის ასრულებით მხოლოდ მისი დახმარება უნდა და მეტი არაფერი.

როსტომ რაჭველიშვილი



სამრთიველს ჩესპუელია

ულოცავენ ამირან რობაქას



ძვირფასო ამირან, მთელი შენი საქმოს და სამეგობროს სახელით მხურვალედ გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს - 75 წლისთავს. შენ ის ვაჟკაცი კაცი ხარ, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე სიკეთესა და სიყვარულს თესავს ამ ქვეყანაზე. გულითადად გვინდა, გვყავდე ჯანმრთელად, დიდხანს იღვანო და იხარო შენს ძვირფას ძმებთან და ოჯახთან ერთად. გაიხარე.

ალექო კაკუღია, ზურაბ კახინაშვილი, გივი აბაშვილი, ლონდერ ცაავა, რეზა სტურუა, მიხა გვირგვინი, ოთარ შინგალია, გივი გვარამია, შუბიან ბუბაშვილი, გივი ოქოჩორიშვილი.

კახეთის მხარე

„ამბავი მეფეზე“

...ისე უნდა გაანათო, რომ დაბნელდეს, ისე უნდა იცხოვრო, რომ მოგვლან, ისე უნდა მოკვდე, რომ დაიბადო... ირაკლი ჩარკვიანი



(ხელმძღვანელი - მარინე ცხვედიაშვილი).

დედოფლისწამაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციამ ახლახან გალალომის რედაქტორობით გამოცემული წიგნის „ამბავი მეფეზე“ პრეზენტაცია მოაწყო კერძო სკოლა „ბენაურის“ ლიტერატურულ კლუბ „მერანში“.

პრეზენტაცია გაიმართა დედოფლისწამაროს მნიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით, სპონსორი გახლდათ დედოფლისწამაროს კულტურულ-გასართობი ცენტრი „ლაბირინთი“

ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებაზე ისაუბრეს ამ ღონისძიების ორგანიზატორმა, მნიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილემ ნანა ჭიჭინაძემ,

ასოციაციის წევრებმა თამილა ჯავაშვილმა (გელა ჩარკვიანის ყოფილი სტუდენტი), ნინო პოპიაშვილმა, ნაირა გორაშვილმა.

მასპინძელი სკოლის დირექტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა ცაცა ბენაშვილმა და პედაგოგებმა ნაიკიტხეს ირაკლი ჩარკვიანის ლექსები.

ირაკლის მამა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დიპლომატი გელა ჩარკვიანი თბილისიდან ტელეფონით შეეხმიანა შეხვედრის მონაწილეებს, მადლობა გადაუხადა დედადოფლისწამაროს შვილის გახსენებისთვის და დასძინა: თქვენ მე ირაკლი გამიცოცხლეთო!

პრეზენტაციას ფონად გასდევდა ირაკლი ჩარკვიანის სულშიჩამწვდომი, სვედიანი სიმღერები...

ბარიკა პოპიაშვილი

დედაპლაკი

კასმა არ იხის, რა ჯობს: მინისქვეშა გადასასვლელი უახი მოიტეხო თუ მის თავზე მანქანას ჩაუპარდა?

ძნელი სათქმელია, თბილისის მერიის შესაბამის სამსახურში როგორ უტყერენ ჩვენში მობილური კავშირგაბმულობის ძალუმად შემოჭრას, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სხვა სახეობის სატელეფონო კავშირი ამ საშასხურში სრულიად უგულუბეყოფილია.



მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და „რკინის ფარდაც“ მოირღვა, საზღვარგარეთ წასვლა პრობლემას აღარ წარმოადგენს, ამდენად ჩვენმა თანამემამულეებმა მშვენივრად იციან, რომ მობილური სატელეფონო კავშირის გარდა, ევროპის, ამერიკის, აზიის, აფრიკის ჩრდილოეთის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ყველა ქვეყანაში სატელეფონო ავტომატები დგას. ასეთი კავშირის აუცილებლობა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მათ შორის, ჩვენს სამეზობლოშიც აღიარებულია, თუმცა, თბილისის მერიაში ამას ამრეზით, სრულიად გაურკვეველი ზიზლით უტყერენ, - წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელია, თუ რატომაა ტელეფონ-ავტომატები იგნორირებული მხოლოდ ჩვენში? იმ ძველი დროის ერთი გადმონაშთი კი აგერ, ქალაქის ცენტრში, კონსტიტუციის მოედანზე ჰკიდია ჩამოგლეჯილ-დაღწეული, ერთგვარი უსიტყვო შეგონებასავით...

უნესრიგობა ქალაქის ცენტრში, რომ იტყვიან, ფეხის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება: მას შემდეგ, რაც გმირთა მოედანზე ამდენი ესტაკადა აშენდა, ვაკი-

სა და საბურთალოს შუა წლებთან დამაკავშირებელი გზატკეცილი გაიჭრა ვერეს ხეობაში, მოედნის შემოდან ფეხით გადაკვეთა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. ამის გაკეთება არც ადრე შეიძლება, რისთვისაც მინისქვეშა გადასასვლელები კი გაიჭრა, მაგრამ შეზინდებისას იქ ჩასვლას დიდ-პატარა, ყველა ერთიანად ერიდება: ერთი რომ შუქი არსაიდან არ აღწევს ამ უკაცრიელ გვირაბებში, განათებაზე კი იქ არავის არასდროს არ უზრუნია, მეორე ის, რომ იქ სრული, ელემენტარულად, ჯანმრთელობისთვის საშიშია - გვირაბების მთელ სიგანეზე (კედლიდან კედლამდე) სანიაღვრე არხებს... საფარი ბადეები აცლილი აქვს, ამდენად, კაცი შიგნით



რომ ჩავარდეს, უკეთეს შემთხვევაში, ფეხებს დაილენავს. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი კითხვა გვაქვს დედაქალაქის შესაბამის სამსახურთან: განა მაინცდამაინც ჩვენი შეგონებაა საჭირო საიმისოდ, რომ თქვენი საქმე წესიერად შეასრულოთ, ბატონებო? ანდა, ვთქვათ, ჩვენ ამბავი შეგატყობინეთ, ახლა საინტერესოა, რამდენი დრო დაგჭირდებათ გმირთა მოედანზე გადასასვლელთა მოსაწესრიგებლად?

ოთარ ტურაბალიძე. ელგუჯა ნაღარიშვილის ფოტო

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლები ღრმა მწუნარებით იუნყებიან თანამშრომლის ელისო ჩინჩაიძის სიძის გიორგი თათრაქის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

